გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი, სისხლის სამართალი

ტრეფიკინგის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები

ხატი გოგრიჭიანი

სამაგისტრო ნაშრომი

ხელმძღვანელი: პროფესორი ედიშერ ფუტკარაძე

თბილისი 2020

სარჩევი

ანოტაცია 2

შესავალი 4

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა 7

თავი II. ტრეფიკინგის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური კვლევა..... 9

2.1. ტრეფიკინგთან დაკავშირებული დანაშაულის წარმოშობისა და გავრცელების მოკლე ისტორიული მიმოხილვა 9

2.2. ადამიანით ვაჭრობის – ტრეფიკინგის წარმოშობის მიზეზებისა და პირობების დახასიათება 11

თავი III. ადამიანთა ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ტრანსნაციონალური მექანიზმები 18

3.1. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო..... 18

3.2. სხვა სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობა 25

თავი IV. ტრეფიკინგის ძირითადი შემადგენლობის ანალიზი ქართულ კანონმდებლობაში..... 32

4.1. ადამიანით ვაჭრობის ობიექტური შემადგენლობის ნიშნები 32

4.2. ტრეფიკინგის სუბიექტური შემადგენლობის ნიშნები..... 44

თავი V. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კვალიფიციური შემადგელობის ანალიზი..... 48

5.1. სისხლის სამართლის კოდექსის 143^1 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ადამიანით ვაჭრობის კვალიფიციური შემადგენლობა. 48

5.2. სისხლის სამართლის კოდექსის 143^1 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ადამიანით ვაჭრობის კვალიფიციური შემადგენლობა. 54

თავი VI. ტრეფიკინგის წინააღდმეგ ბრძოლის პრევენციული ღონისძიებები 58

თავი VII. კვლევის შედეგები 63

დასკვნა..... 65

გამოყენებული ლიტერატურა 67

ანოტაცია

უკვე რამდენიმე წელია, რაც ტელევიზიით, პრესითა თუ ინფორმაციის სხვა საშუალებებით, სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცემული ბროშურებითა და ჩატარებული სემინარებისა და ტრეინინგების მეშვეობით საქართველოს მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაცია იმ დანაშაულის შესახებ, რომელსაც თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ადამიანების ტრეფიკინგი ეწოდება. დანაშაულის ამ ფორმას, რომელსაც სხვაგვარად „თანამედროვე მონობადაც“ მოიხსენიებენ, ღრმა ისტორიული ფესვები აქვს და ის ოცდამეერთე საუკუნეში არ აღმოცენებულა. თუმცა, უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე საერთაშორისო მოვლენებმა, რომლებიც საბჭოთა სივრცის დაშლას უკავშირდებოდა, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მის განვითარებას. საზღვრების გახსნასთან ერთად, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს, კარგად ანაზღაურებადი სამუშაოსა და ცხოვრების უკეთესი პირობების მოლოდინში, აღმოსავლეთ ევროპიდან და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ემიგრირებულთა დიდი ნაკადი მიაწყდა, რამაც ადამიანების ტრეფიკინგს მანამდე არნახული მასშტაბები შესძინა. დღესდღეობით აღნიშნული დანაშაული, თავისი სიმძიმითა და გავრცელების არეალით, აგრეთვე მისგან მიღებული უკანონო შემოსავლების ოდენობით, ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობის შემდეგ მსოფლიოში მესამე ადგილს იკავებს.

ტრეფიკინგის გახშირების მთავარი მიზეზი მისი მომგებიანობაა. ეს არის ჯგუფური დანაშაული, სადაც ხშირ შემთხვევაში ჩართულები არიან საკმაოდ გავლენიანი ორგანიზაციები. ტრეფიკინგის მიზეზი შეიძლება გახდეს ასევე არასაკმარისი ინფორმაცია ამ სფეროში და ადამიანის სოციალური მდგომარეობა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ნაშრომში განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლების ზოგიერთი თავისებურება, რომლებიც პასუხისმგებლობას აწესებენ როგორც ადამიანით ვაჭრობისათვის, ისე არასრულწლოვნის ტრეფიკინგისათვის. ყურადღება აქვს დათმობილი ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობისათვის პასუხისმგებლობის დაწესების საკითხის განხილვას. ადამიანების ტრეფიკინგი რთული, მრავალმხრივი დანაშაულია, რომლის მიზეზების, ხელშემწყობი პირობებისა და თავიდან აცილების პრობლემა რთული, მრავალმხრივი კრიმინოლოგიური პრობლემაა. გასაგებია, რომ აღნიშნული პრობლემა ვრცელ მსჯელობას მოითხოვს, ხოლო ჩვენ ამ პრობლემას მოკლედ განვიხილავთ.

Annotation

The population of Georgia has been informed about the crime that is called human trafficking in modern international law through the seminars and trainings, fliers issued by various international or local non-governmental organizations, by television, mass-media or other means of information for already several years. This crime is called "modern slavery" as well and it has its historical roots and has not started in the twenty first century. Though, current international events concerning destruction of Soviet Union for last decades, have encouraged its development significantly.

Opening the borders, economically developed countries have been attacked by a large stream of emigrants from countries of East Europe and former Soviet Union with the expectations of well-paid jobs and better living conditions. So the human trafficking has acquired unprecedented scales.

At present the above-mentioned crime takes the third place in the world with its seriousness of offence, spreading area, amount of illegal income, drugs and arms trade.

The major reason of increasing trafficking is its profitability. This is a group crime in which quite influential organizations are involved in most cases. One of the several reasons is insufficient information in this field and also social condition of a human.

Based on the research goals, the peculiarities of the articles of Criminal Law Code of Georgia are discussed in the work, which provides amenabilities for human trading and minors' trafficking as well. The issues of amenability for using service of trafficking victims are focused on in this work.

Human trafficking is complicated many-sided crime; its reasons, contributing factors and preventive measures are criminological problem. The above-mentioned problem requires extensive discussion though we discuss it here shortly.

შესავალი

კვლევის აქტუალობა: ადამიანების ყიდვა-გაყიდვა ახალი მოვლენა არ არის, მისი ფესვები ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე არსებობდა, მაგრამ 21-ე საუკუნეში ამ ფენომენმა განვითარების ფართო სპექტრი მოიცვა და სიტყვა ტრეფიკინგი, რომელიც ეტიმოლოგიურად ადამინებით ვაჭრობას ნიშნავს, შინაარსობრივად მრავალფეროვანი დანაშაულებრივი ფორმებით დაიტვირთა.

ტრეფიკინგი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაულია, რომელიც დიდი ხანია გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მრავალ სხვა ქვეყანასთან ერთად საქართველოშიც შემოაღწია. კრიმინალური ორგანიზაციები ყოველწლიურად მილიონზე მეტი ადამიანის არალეგალურ ექსპორტს ახორციელებენ ღარიბი ქვეყნებიდან მდიდარ ქვეყნებში, სადაც მათ სხვადასხვა სახის ექსპლუატაციას უწევენ. ამ დანაშაულებრივ პროცესს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულის განმავლობაში მომხდარმა საერთაშორისო მოვლენებმა. კერძოდ, საბჭოთა კავშირის დაშლამ, საზღვრების გახსნამ და იმ მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ, რომელშიც ადამიანები ქვეყნის დაშლის შედეგად აღმოჩნდნენ. შესაბამისად, ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებიდან ემიგრირებულთა დიდი ნაკადი წარმოიშვა, რამაც ადამიანით ვაჭრობას მანამდე არნახული მასშტაბები შესძინა.

საქართველოში, ადამიანით ვაჭრობის პროცესის განვითარება და გავრცელება პირველ რიგში, გამოწვეული იყო მოსახლეობის მასობრივი გაღარიბებითა და ამის საფუძველზე გაჩენილი ეკონომიკური მიგრაციით - ,,ჩვენს ქვეყანაში ყველა წინაპირობა არსებობს, ტრეფიკინგის გავრცელებისათვის. პირველ რიგში ეს არის მოსახლეობის მასობრივი გაღარიბება და ამის საფუძველზე გაჩენილი ეკონომიკური მიგრაცია... მიგრანტთა უმრავლესობა ქალებია, რადგან ძირითადად მათ კისერზე გადადის ოჯახის რჩენის პრობლემა... ქალები ეთანხმებიან ყველანაირ ავანტიურულ წინადადებას და არ ფიქრობენ მათ შედეგებზე”[1].

ტრეფიკინგის ფაქტების გავრცელებას საქართველოში 2003 წელს სისხლის სამართლის მოქმედ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა მოჰყვა. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს ჯერ 143[1]-142[2] მუხლები, ხოლო 2007 წელს 143[3]-ე მუხლი დაემატა, რომლებმაც პასუხისმგებლობა დააწესეს ადამიანით ვაჭრობის, არასრულწლოვნით ვაჭრობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობისათვის. როგორც

[1] ტრეფიკინგი, საინფორმაციო ბიულეტენი №3, თბილისი, 2000 გვ.8

ვხედავთ, პრობლემა ერთია, მაგრამ ძალზე სერიოზული და გლობალური, რომელსაც ცალკე აღებული ერთი ქვეყანა ვერ გაუმკლავდება მისი ტრანსნაციონალური ხასიათის გამო.

ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ტრეფიკინგის, როგორც თანამედროვე მონობის ჩამოყალიბების სტადიები, მისი სისხლისამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, ამ დანაშაული სტრუქტურა, დინამიკა, გავრცელების არეალი, მისი გამომწვევი ფსიქოლოგიურ-სოციალური, ეკომომიკური მიზეზების ანალიზი, ადამიანის ვაჭრობასთან დაკავშირებულ დანაშაულთან ბრძოლის პრაქტიკა და მიღებული შედეგები საქართველოში.

კვლევის ობიექტებია:

- ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებული ისტორიული ფაქტები.
- საერთაშორისო ორგანიზაციებისა და განვითარებული სახელმწიფოების მიდგომები ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხებისადმი.
- ადამიანებით ვაჭრობის წინაღმდეგ მიმართული საერთაშორისო და ადგილობრივი საკანონმდებლო აქტები და სამამართლო პრეცენდენტები
- ბოლო წლებში ტრეფიკინგის განვითარების დინამიკა
- ტრეფიკინგთან დაკავშირებული კრიმინოლოგიური თავისებურებების შესწავლა

კვლევის მიზანი: სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ტრეფიკინგის საერთაშორისო და ქართული სისხლისსამართლებრივი მიმოხილვა-ანალიზი, ტრეფიკინგის გამოვლინება და მათთან ბრძოლის ღონისძიებების დახასიათება. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ნაშრომში განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლების ზოგიერთი თავისე-ბურება, რომლებიც პასუხისმგებლობას აწესებენ როგორც ზოგადად ადამიანით, ისე არასრულწლოვნით ვაჭრობისათვის.

კვლევის ამოცანები

- მონებით ვაჭრობის ტრეფიკინგად ჩამოყალიბების ისტორიული მიმოხილვა დასაბამიდან დღემდე.
- ტრეფიკინგთან დაკავშირებული საერთაშორისო და ადგილობრივი ნორმების განხილვა მათში შესული ცვლილებების გათვალისწინებით.
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებული მუხლების დამუშავება.

- საქართველოს სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მეშვეობით ტრეფიკინგსა და სხვა მომიჯნავე დანაშაულებს შორის მსგავსება-განსხვავების პოვნა.
- ტრეფიკინგის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორების ჩამოყალიბება, იმ ქვეყნებში არსებული მდგომარეობის განხილვით, სადაც ეს მოვლენაა განვითარებული.
- ტრეფიკინგის რისკ-ჯგუფებისა და ამ დანაშაულის ჩამდენთა სავარაუდო წრის დადგენა.
- საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე უკვე შემუშავებული და მიმდინარე პროექტების ანალიზის შედეგად ადამიანებით ვაჭრობის თავიდან აცილების ეფექტური ზომების განსაზღვრა.

კვლევის მეთოდები:

- შედარებით სამართლებრივი
- სტატისტიკური მეთოდი
- სიტუაციური ანალიზის მეთოდი
- ინდუქციურ-დედუქციური მეთოდები
- ანალიზის კომპლექსური და ლოგიკური მეთოდი
- სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მეთოდი

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

სამაგისტრო თემაში მითითებულ საკითხებზე მუშაობისას გავეცანი სხვადასხვა ავტორის სახელმძღვანელოებს, სადისერტაციო ნაშრომებს, სასამართლო პრაქტიკის კომენტარს, სისხლის სამართლის კერძოს ნაწილის კომენტარებს, ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობას, ადამიანით ვაჭრობასთან დაკავშირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, მოსამართლეთა და პროკურორთათვის ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ არსებულ სასწავლო მასალას, სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კვლევებს, ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებს, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე.

ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურიდან გამოვყოფ მიხეილ ბაძაღუას 2010 წელს შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს: ,,ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინოლოგიური დახასიათება (საქართველოს მაგალითზე)'' და ამავე ავტორის მიერ 2011 წელს შესრულებულ ნაშრომს სათაურით ,,ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგი'' (საქართველოს მაგალითზე). მითითებულ დოკუმენტებში ყურადღება გამახვილებულია ყველა იმ ასპექტზე, რაც ჩემი თემის ძირითადი კვლევის ობიექტია. აღნიშნული ნაშრომების გაცნობის შემდეგ გამიჩნდა სურვილი სიღრმისეულად შემესწავლა ადამიანით ვაჭრობის კრიმინოლოგიური ბუნება და გამომეკვლია ამ დანაშაულის პრაქტიკული გამოვლინებების თავისებურებანი.

ადამიანით ვაჭრობის თავისებურებების შესწავლისას და ამ დანაშაულის მომიჯნავე მუხლების დამუშავებისას მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო, რომელსაც ჩემი კვლევა ეყრდნობა არის „ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალ შეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“, სადაც მითითებულ საკითხზე ავტორთა მოსაზრებები სრულყოფილად და მრავალმხრივ არის განხილული.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სისხლისსამართლებრივი ასპექტების კვლევისას ასევე გავეცანი ავტორთა კოლექტივის მიერ დაწერილ სახელმძღვანელოს „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“. ასევე, საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის განსახილველად გამოვიყენე ავტორთა კოლექტივი „სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ,'' ასევე ინტერნეტ პორტალებზე: საქართველოს სასამართლოების სამართალწარმოების სისტემა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს

გადაწყვეტილებების საძიებო სისტემა მოვიძიე ტრეფიკინგთან დაკავშირებული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

ადამიანით ვაჭრობის ერთ-ერთი მომიჯნავე შემადგენლობის - ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობის შესახებ, რომელიც სხვა მომიჯნავე დანაშაულებთან შედარებით ახალი და ნაკლებად გავრცელებული დანაშაულის ფორმაა, ინფორმაცია მოვიძიე დოდო ჯულიხაძის ნაშრომში ,,პასუხისმგებლობა ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობისათვის // კულტურათაშორისი კომუნიკაციები.''

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არის ტრანსნაციონალური მოვლენა, ამიტომაც კვლევაში გამოვიყენე არამარტო ქართულ ლიტერატურასა და საკანონმდებლო სივრცეში არსებული ნაშრომები, არამედ გავეცანი გაერთიანებული ერების კონვენციას ,,ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ'' და მის დამატებით ოქმებს ადამიანთა ტრეფიკინგისა და მიგრანტთა უკანონო გადაყვანის შესახებ. ასევე მოვიძიე ინფორმაცია გაეროს სპეციალური ვებ-გვერდზე ადამიანის ტრეფიკინგის შესახებ. ასევე ინტერნეტ რესურსების მეშვეობით გავეცანი სხვადასხვა სახელმწიფოების მიდგომებსა და საუკეთესო პრაქტიკას ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების შესახებ.

ტრეფიკინგის როგორც საერთაშორისო მოვლენის არისა და სახელმწიფოების მიერ მასზე ადეკვატური რეაგირების კუთხით გავეცანი ადამიანის უფლებათა ევროპულის სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

მიმდინარე კვლევისას ასევე აქტიურად გავეცანი სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებულ სტატისტიკურ მონაცემებს, ტრეფიკინგის მხვერპლთა დაცვისა და დამხარების სახელმწიფო პროგრამებსა და ამ დანაშაულის პრევენციის მიზნით განსახორციელებ სახელმწიფოს მეირ დაგეგმილ ღონისძიებებს.

თავი II. ტრეფიკინგის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური კვლევა

2.1. ტრეფიკინგთან დაკავშირებული დანაშაულის წარმოშობისა და გავრცელების მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), როგორც პრობლემის აღიარებისა და სამართლებრივი განსაზღვრების შედარებით სიახლის მიუხედავად, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს ახლად აღმოცენებულ დანაშაულად, რადგან მას ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნია. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ დასაბამიდან ადამიანთა მოდგმისათვის დამახასიათებელი იყო ძლიერის მიერ სუსტის ჩაგვრა – სუსტის მონური შრომის გამოყენება იძულების და ჩაგვრის გზით, რაც ადამიანის ბუნებაში ზის და მისი ცხოველური ყოფიერების გადმონაშთად შეიძლება მივიჩნიოთ[2].

ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგი თანამედროვე ფორმაა მსოფლიოში უხსოვარი დროიდან გავრცელებული მონებით ვაჭრობის - მონათმფლობელობის. ჰამურაბის მეფობის წლებში ბაბილონში საკმაოდ კარგად იყო რეგულირებული მონათა სამართლებრივი მდგომარეობა და მონათმფლობელობა ჩვეულებრივ, ფართოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა.

მონების შრომაზე, მათ ექსპლუატაციაზე იდგა რომის იმპერიაც, სადაც მონათა რაოდენობა 5/3 შეფარდებით აღემატებოდა დანარჩენ მოსახლეობას.

ადამიანით ვაჭრობა შუასაუკუნეების ევროპაში მივიწყებული და აკრძალული იყო ძირითადად ქრისტიანული რელიგიის გავლენით. ვითარება კარდინალურად შეიცვალა და ადამიანით ვაჭრობამ ფართო გავრცელება ჰპოვა ამერიკის აღმოჩენისა და მისი ათვისების დაწყების კვალდაკვალ.

საქართველოსთვისაც აღნიშნული ქმედება უხსოვარი დროიდან ყოფილა აქტუალური. ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებულში შემავალი ერთ-ერთი უძველესი - "სამართალი ბერძნული" - მოიხსენიებს აღნიშნული ტიპის მოვლენას, კერძოდ, მასში მოცემულია ცალკეულ ნორმათა კრებული "ნასყიდის ყრმისათვის", სადაც ნათქვამია: "ნასყიდი ყრმა მიდღეში სასამართლოში არ მიიყუანება და ვერცავინ მოკლავს მოსამართლე, და არცა უფლება აქუს.

[2] მ. ბაძაღუა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინოლოგიური დახასიათება (საქართველოს მაგალითზე) დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 2010 გვ.21

თავისის ბატონის საქონელზედ მოსამართლე ვერას აწყენს, ამისთვის რამეთუ ნასყიდია და არა აქუს რა – ნურცა რას მისცემ, ნურცა რას სთხოვ. 24 უკეთუ სუბუქი დანაშაული რამ ქონდეს ნასყიდს ყრმასა, ბატონისა მისისაგან შეენდობის, თუ თავისის ბატონის მორჩილი და მაამებელია, ანუ მისის განგებულისა. ნასყიდი ყრმა არავისთან იჩივლებს და ვერც მისგან იჩივლებს ვინმე მოსამართლესთანა – თუ საქმე ვისმეს აქუს, მის ბატონთან უნდა იჩივლოს”[3].

აღნიშნული მუხლი გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ იმ პერიოდისთვის საქართველოში ადამიანით ვაჭრობის ფართოდ გავრცელების და მის ჩვეულებრივ მოვლენად არსებობის შესახებ. ამ ნორმიდან ნათლად ჩანს, რომ გაყიდულ ადამიანს არავითარი უფლებები არ გააჩნდა, მისი პიროვნება წარმოადგენდა ნივთს პატრონის ხელში, რომელსაც მისი სურვილისამებრ განკარგავა შეეძლო.

1990 წლიდან ამ პრობლემას ინტენსიურად შეისწავლიან საერთაშორისო ორგანიზაციები, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორები. შვედეთი იყო პირველი ქვეყანა, სადაც მიიღეს რადიკალური კანონი ტრეფიკინგის, კონკრეტულად კი ქალის სექსუალური ექსპლუტაციის წინააღმდეგ. 2000 წელს აშშ-ში ძალაში შევიდა ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის აქტი, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტს ავალებს, წარადგინოს ყოველწლიური ანგარიში მსოფლიოში ადმიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებით.

ყველასათვის ცნობილია, რომ ევროპასა და ამერიკაში, ოფიციალურად თუ არალეგალურად, არაერთი ქართველი მუშაობს. მათი რიცხვი ერთ-ერთი უცხოური ორგანიზაციის გამოკვლევით მილიონ-ნახევარ ადამიანს შეადგენს. კაცობრიობის ისტორიამ დაადასტურა, რომ ნებისმიერი მშრომელი ადამიანი გაცილებით მეტ მატერიალურ სარგებლობას აძლევს ქვეყანას, სადაც შრომობს, ვიდრე შრომისთვის იღებს გასამრჯელოს. ამ მარტივი ჭეშმარიტების წყალობით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ და გამოვთვალოთ, თუ რა ინტელექტუალური და ფიზიკური რესურსები გაედინება ჩვენგან მინიმალური ანაზღაურებისათვის (საერთაშორისო სტანდარტებით).

2003 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილებები, სადაც პირველად დაფიქსირდა სიტყვა ,,ტრეფიკინგი” და ადამიანით ვაჭრობისათვის დაწესდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

[3] დოლიძე ი.. ქართული სამართლის ძეგლები.ტომი I თბილისი. 1963.გვ,170

კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ვითადება ტრეფიკინგის განხორციელების მასშტაბებიც. იზრდება მისი სისასტიკე და მოთხოვნილებები. ეს იმითაა გამოწვეული, რომ იგი ყველაზე დიდი არალეგალური ბიზნესია იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობის შემდეგ.

2.2. ადამიანით ვაჭრობის – ტრეფიკინგის წარმოშობის მიზეზებისა და პირობების დახასიათება

ისევე როგორც სხვა ნებისმიერ მოვლენას ადამიანთა ტრეფიკინგსაც გააჩნია გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი პირობები. ისინი შეიძლება დაჯგუფდეს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, როგორებიცაა: **სახელმწიფო-პოლიტიკური, სამართლებრივი, საერთო სოციალური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, და სხვა მიზეზები და ხელშემწყობი პირობები.**

საერთო სოციალურ მიზეზებში და ხელშემწყობ პირობებში შეიძლება გავაერთიანოთ ისეთი მოვლენები, როგორებიცაა:

- უმუშევრობა – წარმოადგენს ადამიანთა ტრეფიკინგის ერთ-ერთ მთავარ საზრდოს, ქვეყანაში შესაბამისი სამსახურის პოვნის შეუძლებლობა ადამიანს აიძულებს დათანხმდეს ნებისმიერ თუნდაც ნაკლებად ანაზღაურებად და სარისკო სამუშაოს, იმის იმედით, რომ ეს მხოლოდ დროებითი საზრდოს წყარო იქნება. ასევე ეს მიზეზი უბიძგებს შრომისუნარიან აქტიურ მოსახლეობას დატოვოს ქვეყნის ტერიტორია და თავისი შესაძლებლობების გამოვლენა შეეცადოს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე;
- გაჭირვება – წარმოადგენს ხანგრძლივი უმუშევრობის შედეგს, ამ დროს პიროვნება ვარდება სასოწარკვეთილ მდგომარეობაში, ეუფლება უიმედობა, რაც უბიძგებს მას გააკეთოს ნებისმიერი საქმე, ოღონდ გადარჩეს და თავი დააღწიოს გაჭირვებას, მათ შორის არ თაკილობს კრიმინალს, ორგანოთა და საკუთარი შვილებით ვაჭრობასაც კი;
- მოსახლეობის განათლების დონე - განათლება ადამიანს ლეგალური, ღირსეული დასაქმების საშუალებას აძლევს და სახელმწიფოს განვითარების წინაპირობაა. საერთო განათლების მნიშვნელობასთან ერთად, ინტელექტი ხდის პიროვნებას უფრო დაკვირვებულს და გადაწყვეტილებების მიღებაში უფრო ფრთხილს, რაც პიროვნების ტრეფიკინგში მოტყუებით ჩაბმას ნაკლებ სავარაუდოს ხდის.

საჭიროა ხაზი გავუსვათ სამართლებრივი განათლების მნიშვნელობას, ჩვენ შემთხვევაში მოსახლეობაში ტრეფიკინგის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. აუცილებელია, რომ საზოგადოებამ იცოდეს თუ რა სახის ქმედებებია დასჯადი, რა ქმედებები შეიძლება შეიცავდნენ

ფარულ საფრთხეს, რისი უფლებები და მოვალეობები აქვთ მოქალაქეებს ქვეყნის წინაშე და სახელმწიფოსგან რის მოთხოვნა შეუძლიათ.

- მოსახლეობის სიმჭიდროვე – ცნობილია, რომ მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში, განსაკუთრებით აზიის რეგიონში ფართოდ გავრცელებულია ადამიანთა ტრეფიკინგი, რადგან მჭიდროდ დასახლებულ ზონებში შესუსტებულია სახელმწიფო კონტროლი და ფართოდაა წარმოდგენილი ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები. აქ მოსახლეობის ხელმისაწვდომობა სხვადასხვა მატერიალური სიკეთეზე გართულებულია, რაც უბიძებს მოსახლეობას წავიდნენ ემიგრაციაში უკეთესი პირობების მოლოდინით. მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში იოლია ადამიანთა გადამალვა. ასევე მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში დიდია უმუშევრობა, პროსტიტუცია და ბავშვთა მიუსაფრობის გავრცელება.
- მოსახლეობის რელიგიური და სხვა წარმოდგენები – ზოგიერთ რელიგიურ მიმდინარეობებში ტრეფიკინგის დეფინიციით მოცული ქმედებები, კერძოდ: ადამიანის მონურ მდგომარეობაში ყოლა, ოჯახის წევრებით ვაჭრობა ან/და მათზე ყოველგვარი უფლების ქონა არის ჩვეულებრივი მოვლენა, რაც თავად ამ ქმედებების ობიექტებშიც არ აღძრავს მიუღებლობის გრძნობას და ისინი არ ცდილობენ თავი დააღწიონ ექსპლუატაციას.

სოციალურ მიზეზებში და ხელშემწყობ პირობებში ასევე ერთიანდება ყველა სხვა სოციალური მოვლენა, რაც გავლენას ახდენს დანაშაულობის მაჩვენებლებზე, როგორიცაა ქალთა ემანსიპაციის ხარისხი, გენდერული თანასწორობა და ა.შ.

ეკონომიკურ მიზეზებში და ხელშემწყობ პირობებში, რომლებიც მეცნიერთა აზრით წარმოადგენენ მიგრაციის და ტრეფიკინგის მთავარ მიზეზს,[4] შეიძლება მოვიაზროთ:

- იაფ მუშახელზე მოთხოვნა _ მსოფლიოს განვითარებულ სახელმწიფოებში ბოლო პერიოდში მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებამ გამოიწვია სამუშაო ბაზარზე ისეთი ვაკანსიების გაჩენა, რომელთა დაკავებასაც ადგილობრივი მოსახლეობა არ თანხმდება, რასაც აქვს მრავალი საფუძველი, მათ შორის შეიძლება დასახელდეს: სამუშაოს არაპრესტიჟულობა, სამუშაო პირობების სიმძიმე, სამუშაოს მძიმე გრაფიკი, ზოგ შემთხვევაში კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეთათვის სახელმწიფოს მიერ

[4] Messina, A. M., & Lahav, G. 2006. The Migration Reader: Exploring Politics and Policies. Lynne Rienner Publishers.გვ.12

უმუშევრობის სოციალური დაცვის მექანიზმებით მიღებული დახმარება მოქალაქეთათვის უფრო სარფიანია, ვიდრე კონკრეტულ სამუშაო ადგილიდან მიღებული შესაძლო შემოსავალი, მაგრამ ამგვარი სამუშაოს შესრულება მაინც აუცილებლობას წარმოადგენს, რისთვისაც ამ სახელმწიფოებში ხდება ღარიბი ქვეყნებიდან ნაკლებპრეტენზიული მუშახელის ლეგალური იმპორტი ან ასეთ საქმიანობაში ჩაბმულ არალეგალურ მუშახელზე თვალის დახუჭვა – სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან ნულოვანი რეაგირება.

- სპეციალურ კვალიფიკაციის მუშახელზე მოთხოვნა – ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში (ძირითადად არალეგალურ სფეროში) ისეთი ვაკანსიების და სამუშაოების არსებობა, რომელთა შესრულებაც მხოლოდ გარკვეული კვალიფიკაციის და ცოდნის პიროვნებებს შეუძლიათ და სადაც ასეთი კვალიფიკაციის ადამიანების დეფიციტია (მაგალითად: ნარკობიზნესში ქიმიკოსების, ძვირფას ნაკეთობების ბიზნესში იუველირების, არალეგალურ ორგანოთა ტრანსპლანტაციაში ქირურგების და ა.შ.) ძირითადად ეს სამუშაოები თუ მომსახურეობა მაღალანაზღაურებადია და შესაბამისად მეტად მიმზიდველია არალეგალურად მომუშავე ორგანიზაციებისთვის და ადამიანით მოვაჭრეთათვის. ამ შემთხვევაში მოიაზრება ასევე ადამიანის ინტელექტუალური შრომის ექსპლუატაცია, რაც პიროვნების დატყვევების პირობებში მარტივად შესასრულებელია.
- ადამიანთა ტრეფიკინგში ჩართული ორგანიზაციებისთვის თავად ამ საქმიანობიდან უზარმაზარი მოგების მიღების შესაძლებლობა, გამოვლენის და დასჯადობის დაბალი ხარისხით. ნარკოტიკების და იარაღის დანაშაულებრივი ბიზნესისგან განსხვავებით, სადაც პროდუქცია ერთჯერად რეალიზაციას ექვემდებარება და პროდუქტის გაყიდვით სრულდება, ადამიანითა ტრეფიკინგში მსხვერპლთა მრავალჯერადი გამოყენების შესაძლებლობაა და პიროვნება შემოსავლის წყაროს მრავალი წლის განმალობაში შეიძლება წარმოადგენდეს. დამნაშავე ორგანიზაციებისთვის ასევე მარტივია არსებული ნარკო და იარაღის გადაზიდვისთვის შექმნილი მარშრუტების გადაკვალიფიცირება ადამიანთა გადასაზიდად. საერთაშორისო ექსპერტთა დასკვნებით ადამიანთა

ტრეფიკინგს წელიწადში მილიარდ დოლარამდე შემოსავალი მოაქვთ დანაშაულებრივი ორგანიზაციებისათვის და ეს მაჩვენებელი წლიდან წლამდე იზრდება.[5]

სახელმწიფო-პოლიტიკურ მიზეზებში და ხელშემწყობ პირობებში შეიძლება მოვიაზროთ:

- სახელმწიფოს ნების არ არსებობა ებრძოლოს ამ მოვლენას-აღნიშნული დამახასიათებელი იყო 90-იანი წლების საქართველოს ხელისუფლებისათვის, რა დროსაც ქვეყნის მთავრობას, შეიძლება ითქვას, რომ არ ეცალა მიგრაციის პროცესების კონტროლისათვის, თავად იყო სხვა და სხვა მაფიოზური დაჯგუფების მონაწილეებისგან შემდგარი და შესაბამისად ხდებოდა ბრძოლა ხელისუფლების და მასთან ერთად უკანონო შემოსავლების ხელში ჩასაგდებად, ხოლო ადამიანთა ტრეფიკინგის მსგავსი ქმედებები მათთვის შემოსავლის წყაროსაც კი წარმოადგენდა.

დღევანდელ რეალობაში სახელმწიფოს ნების არ არსებობა შეიძლება მივუსადაგოთ პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლასთან მიმართებით ქვეყნის პოლიტიკას. ქვეყანაში მრავლად ფუნქციონირებს უკანონო სექს-მომსახურეობის დაწესებულებები და კერძოდ მომუშავე პროსტიტუტები, რომლებზეც ინფორმაცია ყველა დაინტერესებულ პირს აქვს, მაგრამ არ ხდება კანონის შესაბამისად მათი ფუნქციონირების ინტენსიური აღკვეთა.

- სახელმწიფო-პოლიტიკური ადამიანთა ტრეფიკინგის ხელშემწყობი პირობა შეიძლება იყოს ასევე მთავრობის უსუსურობა _ ანუ როცა ქვეყანაში არსებობს ბრძოლისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა, მთავრობას გააჩნია ნება შეებრძოლოს ამ მოვლენას, მაგრამ არ გააჩნია ფინანსური, მატერიალური თუ საზოგადოებრივი მხარდაჭერა, რათა განახორციელოს მიღებული კანონმდებლობა.
- კანონმდებლობაში არსებული ნაკლოვანებები _ აღნიშნული წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან პირობას, რაც საშუალებას აძლევს ტრეფიკინგით დაკავებულ ორგანიზაციებს კანონის გვერდის ავლით დაუსჯელად იმოქმედონ. ასევე აქვე იგულისხმება სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის არაჰარმონიულობა და მათ შორის ლავირების შესაძლებლობა ტრანსნაციონალური დაჯგუფებებისათვის, რომლებიც ასეთი ნაკლოვანებებით საზრდოობენ.

[5]მ. ბაძაღუა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინოლოგიური დახასიათება (საქართველოს მაგალითზე) დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 2010 გვ. 123

- კორუფცია - იგი წარმოდგება ამ მაღალშემოსავლიანი ბიზნესისთვის მეტად სასურველ მაპროვოცირებელ ელემენტად, რადგან ტრეფიკიორებს ბიზნესის მაღალშემოსავლიანობის ხარჯზე შეუძლიათ იოლად მოისყიდონ კორუმპირებული თანანმდებობის პირები და დაუსჯელად განახორციელონ მათი საქმიანობა, რაც სხვა შემთხვევებში მეტად სარისკო იქნებოდა.
- სახელმწიფო პოლიტიკურ მიზეზებში შეიძლება მოექცეს ქვეყნებს შორის არსებული კონფლიქტები _ როგორც ღია საომარი დაპირისპირებები, ასევე მწვავე პოლიტიკური წინააღმდეგობები, რაც კავშირს და თანამშრომლობას გამორიცხავს დაპირისპირებულ სახელმწიფოთა შორის და საშუალებას აძლევს დამნაშავეთა საზოგადოებას იპოვონ თავშესაფარი მტრული ქვეყნების ტერიტორიაზე და იქედან დაუსჯელად მართონ დანაშაულებრივი ქსელი.

ტექნოლოგიურ მიზეზებში და ხელშემწყობ პირობებში შეიძლება ვიგულისხმოთ:

- მგზავრობის გამარტივება _ XXI საკუნეში მანძილები შემცირდა როგორც არასდროს. თუ მეთექვსმეტე საუკუნემდე ატლანტიკის გადაცურვა წარმოუდგენელი იყო და მაშინდელი ტექნოლოგიებით ამას, დიდი სასიცოცხლო რისკის პირობებში, რამოდენიმე თვე დასჭირდებოდა, XXI საუკუნეში თბილისიდან ნიუ იორკამდე მგზავრობისთვის, ყოველგვარი საფრთხის გარეშე, 1 დღეც არაა საჭირო. ასევე აღსანიშნავია XXI საუკუნეში მგზავრობის სიიაფე და მგზავრთა კონტროლის დაბალი ხარისხი. ეს უკანასკნელი ნელ-ნელა უმჯობესდება 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ.

ავიაციის, საზღვაო ტრანსპორტის, რკინიგზის და სხვა თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებების ფართო არჩევანი დიდ ასპარეზს უქმნით ადამიანთა უკანონოდ გადაყვანის მსურველთ.

- მობილური კავშირგაბმულობის საშუალებების განვითარება _ მობილური ტელეფონების გამოგონებამ გაამარტივა კავშირები დანაშაულებრივი დაჯგუფების რგოლებს შორის, გაზარდა მათი ოპერატიულობა და მოქნილობა, შესაბამისად საგრძნობლად გაართულა მათი გამოვლენა და პასუხისგებაში მიცემა[6].

[6]მ. ბაძაღუა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინოლოგიური დახასიათება (საქართველოს მაგალითზე) დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 2010 გვ.125

- ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარება-აღნიშნული ადამიანების კონტროლის ახალ განზომილებას წარმოქმნის. აიოლებს ადამიანზე ინფორმაციის შეგროვებას, მათზე ყოველმხრივი კონტროლის დამყარებას და ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოხდენას. ამარტივებს არალეგალური საქონლის და მომსახურეობის რეალიზაციას, ინტერნეტ რეკლამის და ვაჭრობის ვირტუალური საშუალებების გამოყენებით. ელექტრონული ვაჭრობა მნიშვნელოვანი სეგმენტია, რადგან აქ ფართო საშუალებებია ყიდვა-გაყიდვის ოპერაციის მონაწილე მხარეების ანონიმურობის გარანტირებისთვის და შესაბამისად არალეგალური პროდუქციის რეალიზაციისთვის.
- ტექნოლოგიურ მიზეზებში და ხელშემწყობ პირობებში შეიძლება მოვიაზროთ საზოგადოებაში აზრის - ინფორმაციის გავრცელების ზოგადად გამარტივება თანამედროვე ტექნოლოგიების უამრავი სიახლის მეშვეობით, რაც აიოლებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა შეგროვების ღონისძიებებს, ცრუ რეკლამების და ცრუ დაპირებების გავრცელების მეშვეობით, მათ შორის ტელევიზიის გამოყენებით.
- ტექნოლოგიურ მიზეზებში და ხელშემწყობ პირობებში ასევე მოიაზრება მაღალტექნოლოგიური ქირურგიული ოპერაციების-სუროგატული დედობის, ორგანოთა და ქსოვილების გადანერგვების ჩატარების შესაძლებლობა _ რაც წარმოუდგენელი იყო რამოდენიმე ათწლეულის წინ. ყოველწლიურად იზრდება იმ ორგანოთა ჩამონათვალი, რომლის გადანერგვაც შესაძლებელია. ასევე იზრდება ტრანსპლანტაციისთვის ამოღებულ ორგანოთა შენახვის გახანგრძლივების ტექნოლოგიები. ყველაფერი ზემოთაღნიშნული ზრდის ჯანსაღ ორგანოებზე მოთხოვნას, ხოლო ლეგალური დონორების სიმცირე და დიდი რიგები, რეციპიენტებს აიძულებს სასიცოცხლოდ აუცილებელ ორგანოებზე იზრუნონ სხვა არალეგალური გზების გამოყენებითაც, რაშიც მზად არიან გაიღონ უზარმაზარი სახსრები.

ყველა ზემოთჩამოთვლილი ელემენტი წარმოადგენს ზოგადად ადამიანთა ტრეფიკინგის მაპროვოცირებელ ელემენტებს.

ფაქტორებს, რომლებიც წარმოსდგებიან როგორც ქვეყნის დატოვების მაპროვოცირებელ ერთეულებად, წარმოადგენენ: ,,დემოგრაფიული ზრდა, დაბალი ცხოვრების სტანდარტები, არასაკმარისი ეკონომიკური შესაძლებლობები, პოლიტიკური შეზღუდვები."[7] რეალურად ეს

[7] Stephen Castles & Mark J. Miller. 1998. The age of migration: international population movements in the modern world. Guilford Press. გვ.22

ფაქტორები გაერთიანებული არიან ერთგვარად მონუსხულ ჯაჭვში და განაპირობებენ ერთმანეთს. ასე მაგალითად დემოგრაფიული ზრდა იწვევს რესურსებზე ხელმისაწვდომობის შემცირებას, რაც მოიცავს ყველაფერს საცხოვრებლიდან დაწყებული, წყლის რესურსით, საკვებით და დასაქმების შესაძლებლობით დამთავრებული და შესაბამისად იწვევს ცხოვრების სტანდარტების და ეკონომიკური შესაძლებლობების დაქვეითებას, რაც თავის მხრივ იწვევს ხელისუფლების მხრიდან რეპრესიული პოლიტიკის გატარებას, რათა შეინარჩუნოს ხელისუფლება. მეორე მხრივ ხელისუფლების მიერ გატარებული რეპრესიული პოლიტიკა იწვევს საერთაშორისო ინვესტიციების შემცირებას და შესაბამისად ეკონომიკის და ცხოვრების სტანდარტების დაცემას[8]. რაც შეეხება ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ ემიგრანტისთვის კონკრეტულ მიმღებ სახელმწიფოს მიმზიდველობას, ესენია: „მოთხოვნა მუშა ხელზე, ხელმისაწვდომობა მიწაზე, კარგი ეკონომიკური შესაძლებლბების არსებობა და პოლიტიკური თავისუფლებები"[9].

მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ პიროვნება მიგრაციაზე გადაწყვეტილებას იღებს უბრალო დაკვირვებით მის ადგილსამყოფელ სახელმწიფოს და სასურველ, დანიშნულების სახელმწიფოს შიგნით არსებული ვითარების შედარებით, იმ მოგება-დანახარჯის ანალიზით თუ როგორი ეკონომიკური შედეგების მომტანი იქნება მისთვის გამგზავრება და რას მოელის დარჩენის შემთხვევაში, ხოლო ტრეფიკინგის პირობებში ანალიზს აკეთებს არა მხოლოდ მსხვერპლი, რომელსაც ჰგონია, რომ მიგრაციაში ერთვება, არამედ ტრეფიკიორიც, რომელიც ანგარიშობს, ღირს თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში ტრეფიკინგის განხორციელება, რა მატერიალური შედეგების მომტანი იქნება და რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდება იგი.[10]

---

[8] Jac-Kucharski A. 2010-02-17. The Determinants of Human Trafficking - Paper presented at the annual meeting of the Theory vs. Policy? Connecting Scholars and Practitioners, New Orleans Hilton Riverside Hotel, The Loews New Orleans Hotel, New Orleans. http://www.allacademic.com/meta/p413629_index.html

[9] Stephen Castles & Mark J. Miller. 1998. The age of migration: international population movements in the modern world. Guilford Press. გვ.22

[10] მ. ბაძაღუა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინოლოგიური დახასიათება (საქართველოს მაგალითზე) დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 2010 გვ.127

თავი III. ადამიანთა ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ტრანსნაციონალური მექანიზმები

3.1. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო

ტრეფიკინგის პრევენცია არ არის მხოლოდ ერთი რომელიმე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით დასარეგულირებელი საკითხი, ამ დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ღონისძიებების გასატარებლად აუცილებელია მისი გლობალურ დონეზე მოწესრიგება. სწორედ ამის გამოვლინებაა წინამდებარე თავში მიმოხილული ორი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულება. ისინი სრულად აყალიბებენ იმ ღონისძიებათა ჩამონათვალს, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია მონაწილე სახელმწიფოებისათვის საერთო მიზნის მისაღწევად. ეს ხელშეკრულებებია: გაეროს ორგანიზებული დანაშაულის შესახებ კონვენციის ოქმი ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით, ვაჭრობის პრევენციის, აღკვეთისა და დასჯის შესახებ და ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ცნების ჩამოყალიბებას და ამ მოვლენის წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობას საერთაშორისო მასშტაბით საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია გააჩნია. დაწყებული 1904 წლიდან საერთაშორისო საზოგადოება ცდილობს გაბნეული ცოდნის შეჯერებას, ადამიანთა ტრეფიკინგის გამოცანის ნაწილების თავმოყრას, შემეცნებას და ამ გზით მის ამოხსნას.

საერთაშორისო საზოგადოებამ, ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განხორციელების საწყის ეტაპზე, იხელმძღვანელა რა სეგმენტური მიდგომით, მიზნობრივი ჯგუფების დასაცავად გაატარა უფლებადაცვითი ღონისძიებები, როგორიც იყო თეთრი კანისფერის ქალები და ადამიანთა ტრეფიკინგის გამოვლინების ზოგიერთი ფორმის წინააღმდეგ, მაგალითად სექს ტრეფიკინგის, ხოლო შემდგომ, ეტაპობრივად, ადამიანთა

ტრეფიკინგზე აკუმულირებული ცოდნის და მის წინააღმდეგ მოქმედების შესაძლებლობის გაძლიერებასთან ერთად, მოიცვა თანამედროვე გაგებით ადამიანთა ტრეფიკინგის ცნებაში არსებული სულ უფრო და უფრო მეტი ელემენტები[11].

მიუხედავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შეჯერებული და საერთაშორისოდ აღიარებული დეფინიციის არსებობისა, ადამიანით ვაჭრობის ცნების ჩამოყალიბების პროცესი დასრულებულად არ შეიძლება მივიჩნიოთ. კვლავაც აღმოჩდება ადამიანთა ტრეფიკინგის ის ახალი, აქამდე უცნობი ნიშან-თვისებები თუ გამოვლენის ფორმები, რომლებიც დღეს მოქმედი დეფინიციის გადახედვის ვალდებულებას მომავალშიც წარმოშობენ. აღნიშნული ევოლუციური პროცესია და დამახასიათებელია ნებისმიერი მეცნიერებისათვის, რომლებიც ვალდებული არიან არ ჩამორჩნენ შესასწავლი მოვლენის განვითარებას.

საერთაშორისო სამართლის აქტებს, რომლებიც ეხებიან ადამიანთა ტრეფიკინგის პრობლემას, სადაც გადმოცემულია ამ აქტების შემუშავების პერიოდისთვის ადამიანთა ტრეფიკინგზე არსებული მსოფლმხედველობა და შესაბამისად შეიძლება შევიქმნათ წარმოდგენა აქტების გამოცემის დროისთვის ადამიანთა ტრეფიკინგის დეფინიციასთან დაკავშირებით, წარმოადგენენ[12]:

1. 1904 წლის 18 მაისის საერთაშორისო ხელშეკრულება ,,თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის შესახებ;"

2. 1910 წლის საერთაშორისო კონვენცია ,,თეთრი ადამიანების მონობასთან ბრძოლის შესახებ;"

3. 1921 წლის 30 სექტემბრის საერთაშორისო კონვენცია ,,ქალებით და ბავშვებით ვაჭრობასთან ბრძოლის შესახებ;"

4. 1926 წლის კონვენცია ,,მონობის შესახებ;"

5. 1930 წლის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია ,,იძულებითი შრომის შესახებ;"

---

[11]Morehouse Christal. 2009. Combating human trafficking: policy gaps andhidden political agendas in the USA and Germany. VSresearch გვ.26

[12] მ. ბაძაღუა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინოლოგიური დახასიათება (საქართველოს მაგალითზე) დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 2010 გვ.19

6. 1933 წლის 11 ოქტომბრის საერთაშორისო კონვენცია ,,სრულწლოვანი ქალებით ვაჭრობის წინააღმდეგ;"

7. 1948 წლის 10 დეკემბრის გაეროს ,,ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია;"

8. 1949 წლის ჟენევის კონვენცია ,,ადამიანებით ვაჭრობისა და მესამე პირის მიერ პროსტიტუციის ექსპლუატაციასთან ბრძოლის შესახებ;"

9. 2000 წლის 15 ნოემბერს მიღებული გაეროს კონვენცია ,,ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ" და მისი დამატებითი ოქმი ,,ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ", მიღებული 2000 წლის 12 დეკემბერს;

10. ,,ევროპული კონვენცია ადამიანებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" ევროსაბჭოს კონვენცია, მიღებული ვარშავაში 2005 წლის 16 მაისს. აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებული დოკუმენტები სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივ მოწყობის და პირობების გათვალისწინებით შეიქმნა.

პალერმოს ოქმი

გაეროს ორგანიზებული დანაშაულის შესახებ კონვენციის ოქმი ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით, ვაჭრობის პრევენციის, აღკვეთისა და დასჯის შესახებ, საყოველთაოდ ცნობილია როგორც პალერმოს ოქმი, მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტია ტრეფიკინგის წინააღმდეგ საბრძოლველად და სახელმწიფოთა მიერ პრევენციის მიზნების განსახორციელებლად. კერძოდ, ოქმის მე-9 მუხლის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ ყოვლისმომცველი პოლიტიკა, პროგრამები და მიმართონ სხვა ზომებს ტრეფიკინგის პრევენციისათვის და ებრძოლონ ამ დანაშაულს. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყონ კვლევების წარმოება, საინფორმაციო და მედიაკამპანიების ორგანიზება, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება ტრეფიკინგის პრევენციისა და მის წინააღმდეგ საბრძოლველად. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ პალერმოს ოქმი აქცენტს აკეთებს სახელმწიფო უწყებების, ქვეყანაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობაზე, ტრეფიკინგის თავიდან აცილების მიზნით. ასევე მონაწილე სახელმწიფოებს ევალებათ იმ გარემოებათა აღმოფხვრა, რის გამოც ადამიანები ადვილად ებმებიან ტრეფიკინგის მახეში, რაშიც იგულისხმება სიღარიბე, თანაბარ შესაძლებლობათა

უქონლობა და სხვა.[13] ასევე გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფოთა ვალდებულებაა ორგანიზება მთელი რიგი ტრენინგებისა სასაზღვრო გამშვები პუნქტებისა და სხვა უწყებათა თანამშრომელთათვის, რათა უკეთ მოხდეს პრევენციის მიზნების შესრულება.[14]

აღნიშნული პრობლემების თეორიულ გადაჭრას მრავალი წლის შრომა დასჭირდა. ადამიანთა ტრეფიკინგის საკითხების თანამედროვე გადაწყვეტა მოგვცა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციამ მიღებულმა 2000 წლის 15 ნოემბერს, უშუალოდ კი მისმა დამატებითმა ოქმმა – ,,ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ", მიღებულმა 2000 წლის 12 დეკემბერს[15]. ამ უკანასკნელში ჩამოყალიბებულია ტრეფიკინგის თანამედროვე და საერთაშორისოდ აღიარებული დეფინიცია შემდეგი სახით:

ა) ტრეფიკინგი ნიშნავს ადამიანების გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით, ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებელის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, ამ ადამიანთა ექსპლუატაციის მიზნით. ექსპლუატაცია, როგორც მინიმუმ, გულისხმობს სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაციას ან სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას, მონურ შრომას ან ორგანოთა გადანერგვას.

ბ) თუ გამოყენებულია ამ მუხლის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საშუალება, ადამიანთა ტრეფიკინგის მსხვერპლის თანხმობას აღნიშნული ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს;

გ) ბავშვის გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება ექსპლუატაციის მიზნით, უნდა ჩაითვალოს ,,ტრეფიკინგად" მაშინაც კი, როდესაც

[13] Protocol to prevent, suppress and punish traffi cking in persons, especially women and children, supplementing the united nations convention against transnational organized crime, მე-9 მუხლი.
[14] იქვე, მუხლი 10
[15] საერთაშორისო ხელშეკრულებები https://nsc.gov.ge/geo/static/565

გამოყენებული არ ყოფილა ამ მუხლის (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საშუალება;

დ),,ბავშვი" გულისხმობს ნებისმიერ ადამიანს 18 წლის ასაკამდე[16].

აღნიშნული დეფინიცია, მისი სწორად აღქმის მიზნით, პირობითად სამ ნაწილად არის გაყოფილი:

- პირველ ნაწილში მოცემულია კონკრეტული მოქმედებები, რომლებიც ცალკე და ერთობლიობაში თუ ადამიანის ექსპლუატაციის მიზნით არის განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებებია - ადამიანების გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება;

-მეორე ნაწილში მოცემულია ის საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც აღნიშული მოქმედებები ხორციელდება, კერძოდ, მუქარა, ძალის გამოყენება, იძულება, გატაცება, თაღლითობა, მოტყუება, საკუთარი უფლებამოსილების ან სხვისი უმწეობის ბოროტად გამოყენება, იმ პირისათვის საფასურის მიცემა, რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა ადამიანზე; ხოლო მესამე ნაწილში მოცემულია დანაშაულის მიზანი – ადამიანის ექსპლუატაცია.

ტრეფიკინგის იდენტიფიკაციისათვის მნიშვნელოვანი იყო აქ შეტანილი ის დებულება, რომ იმ შემთხვევაში თუ გამოყენებულია ზემოაღნიშნული რომელიმე საშუალება, მაშინ ტრეფიკინგის დანაშაულის არსებობის მტკიცებისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თანახმა არის თუ არა მსხვერპლი ასეთ ექსპლუატაციაზე - მსხვერპლის თანხმობა ექსპლუატაციაზე დამნაშავის გამამართლებელ არგუმენტად არ მიიღება.

ევროპის კონვენცია

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულება ტრეფიკინგის თავიდან ასაცილებლად არის ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს მე-3 სამიტზე წევრ სახელმწიფოთა დელეგატებმა მკაცრად დაგმეს ტრეფიკინგი, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლებების წინააღმდეგ მიმართული საფრთხე, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ მსხვერპლთა წარმოშობის, ტრანზიტისა და დანიშნულების ქვეყნებმა გადაწყვიტეს, გამოეყენებინათ სამართლებრივად სავალდებულო

[16] Protocol to Prevent, Suppress and Punish Trafficking in Persons, Especially Women and Children, supplementing the United Nations Convention against Transnational Organized Crime.

დოკუმენტი, რათა შეემუშავებინათ ტრეფიკინგის საწინააღმდეგო საერთო პოლიტიკა.[17] სამიტზე ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა, ბატონმა ჯაგლანდმა, ყურადღება გაამახვილა ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ კონვენციაზე ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და აღნიშნა, რომ ეს კონვენცია მოიცავს ტრეფიკინგის ყველა ფორმას, იქნება იგი ნაციონალური თუ ტრანსნაციონალური, ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული თუ არა, ქალების, კაცებისა და ბავშვების წინააღმდეგ მიმართული, ისევე, როგორც არა აქვს მნიშვნელობა ექსპლოატაციის სახეს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი არის ის, რომ, კონვენციის შესაბამისად, ტრეფიკინგის მსხვერპლის წინააღმდეგ არ იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა. გენერალური მდივნის სურვილის შესაბამისად, ევროპული გაერთიანება უნდა გახდეს ამ კონვენციის პარტნიორი, რადგან მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა არის ერთადერთი ეფექტური გზა ამ საკითხთან საბრძოლველად.[18]

კონვენცია ტრეფიკინგის პრევენციის მიმართულებით ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს, უზრუნველყონ ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე ყველა უწყების შეთანხმებული თანამშრომლობა, ასევე საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლება, იმ მეთოდების დანერგვა, რომლებიც ორიენტირებულია ადამიანის უფლებების დაცვასა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაზე.[19] სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საკანონმდებლო და სხვა შესაბამისი ზომები, რათა არ მოხდეს კომერციული, სატრანსპორტო გადამზიდავი კომპანიების მხრიდან ტრეფიკინგის დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობა, ასევე უნდა გაუუქმდეთ ვიზები და ქვეყანაში შესვლის უფლება ჩამოერთვათ პირებს, რომლებიც მონაწილეობენ ტრეფიკინგის დანაშაულის ჩადენაში.[20]

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო მექანიზმებზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს ამ მოვლენის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამოკიდებულება, რაც ყველაზე კარგად ვლინდება მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში.

---

[17] სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის, „ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ", გვ. 15-16
www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe
[18] EU Ministerial Conference Towards Global EU Action against Traffi cking in Human Beings The Third EU Anti Traffi cking Day 19 – 20 October 2009, Conference Report, Thorbjørn JAGLAND, Secretary-General, Council of Europe, გვ. 8-9.
[19] ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მე-5 მუხლი.
[20] იქვე, მე-7 მუხლი

საქმეში რანცევი კვიპროსისა და რუსეთს წინააღმდეგ (Rantsev v. Cyprus and Russia განაცხადი #25965/04; 10/05/2010)[21] სასამართლომ განმარტა: ,, ორმა არასამთავრებო ორგანიზაციამ... სასამართლოს წინაშე გააკეთა წარდგინება, რომ მონობის თანამედროვე განმარტება მოიცავდა ისეთ სიტუაციებს, როგორიც მოცემული იყო წინამდებარე საქმეში, როცა მოძალადეს და იძულების განმახორციელებელ პირს -დამნაშავეს სრული კონტროლი ჰქონდა მსხვერპლზე. სასამართლოს მოსაზრებით როგორც მონობა, ასევე ადამიანით ვაჭრობა, თავისი ბუნებით და ექსპლუატაციის მიზნიდან გამომდინარე, დაფუძნებული იყო ძალაუფლების განხორციელებაზე, რომელიც ებმოდა საკუთრების უფლებას; ადამიანი განიხილებოდა როგორც საქონელი, რომელიც შეიძლებოდა შეძენილიყო ან გაყიდულიყო და რომლის ჩაბმა ხდებოდა იძულებით შრომაში. ეს ქმედება გულისხმობდა მსხვერპლის შეზღუდულ მოძრაობას და მისი საქმიანობის ყურადღებით მეთვალყურეობას; ამასთან, ასეთი დანაშაული მოიცავდა ძალადობისა და მუქარის ფაქტებს მსხვერპლის წინააღდმეგ. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ტრეფიკინგი თავისთავად აკრძალული იყო კონვენციის მე-4 მუხლით.''

საქმეში ლ.ი. საბერძნეთის წინააღმდეგ (L.E. v. Greece განაცხადი #71545/12; 21/01/2016) სასამართლო აღნიშნავს: ,,რომ კონვენციის მე-2, მე-3 მუხლებთან ერთად მე-4 მუხლის მოიცავდა ევროპის საბჭოს დემოკრატიული საზოგადოების ძირითად ღირებულებებს. მე-4 მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებდა რიგ პოზიტიურ ვალდებულებებს, რომელიც ეხებოდა ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვას. სასამართლომ აღნიშნა, რომ, შესაბამის დროს საბერძნეთის სისხლის სამართლის კოდექსის 351-ე მუხლის განმარტავდა ტრეფიკინგს პალერმოს პროტოკოლისა და ევროპის საბჭოს ადამიანებით ვაჭრობის) ტრეფიკინგის წინააღდმეგ ბრძოლის შესახებ კონვენციის შესაბამისად. სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით შესაძლებელი იყო ლ.ი-ს პრაქტიკული და ეფექტური დაცვა. ... ასევე საბერძნეთის ხელისუფლების მხრიდან კონვენციის მე-4 მუხლიდან გამომდინარე არსებული

[21] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე (განახლებული კრებული) საქართველოს უზენაესი სასამართლო ადამიანის უფლებათა ცენტრი 2017 წ. გვ. 64

პროცედურული ვალდებულების შეუსრულებლობა და დაადგინა, რომ დაირღვა წინამდებარე მუხლი. ''[22]

როგორც უკვე აღინიშნა, საერთაშორისო სახელშეკრულებო ჩარჩოს კვალდაკვალ მნიშვნელოვანია, ასევე, იმ ელემენტების მიმოხილვაც, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭებათ ტრეფიკინგის პრევენციის საერთო მიზნის მიღწევაში. სწორედ ამას ეთმობა წინამდებარე ნაშრომის მომდევნო თავი.

3.2. სხვა სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობა

ტრეფიკინგის პრევენცია მეტად მნიშვნელოვან ამოცანად რჩება მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე და თითქმის ყველა ქვეყანა ცდილობს, გაატაროს გარკვეული ღონისძიებები ამ დანაშაულის აღმოსაფხვრელად. ამდენად, საკმაოდ ძნელია ტრეფიკინგის პრევენციასთან დაკავშირებული ყველა ქვეყნის შიდა საკანონმდებლო ნორმათა მიმოხილვა და რადგანაც მსოფლიოში ქვეყნები იყოფიან ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიხედვით პირველ, მეორე და მესამე კატეგორიის ქვეყნებად,[23] უპრიანი იქნება, თუ ყურადღება გამახვილდება იმ სახელმწიფოებზე, რომლებიც საქართველოს მსგავსად არიან პირველი კატეგორიის ქვეყნების რიცხვში. ეს საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მოხდეს მათი გამოცდილების გათვალისწინება და ჩვენთან არსებული ნორმების სრულყოფა.

ზოგიერთ ქვეყანას აქვს სპეციალური კანონი (მაგალითად, კამბოჯა,[24] ფილიპინები, ჩინეთი, ვიეტნამი, აშშ, კანადა, ისრაელი), მაგრამ არ არის ცალკე-ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლ, დაზარალებულ არასრულწლოვანთა საკითხების - რეგულირების ნორმები. ბევრ ქვეყანაში ეს საკითხი, ძირითადად, რეგულირდება სისხლის სამართლის კოდექსებითა და ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ საკანონმდებლო აქტებით (მაგალითად, დიდი ბრიტანეთი, მონღოლეთი, ინდონეზია, სინგაპური, ტაივანი და სხვ.)

ამავე დროს, თუ ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსოფლიო მონაცემებს შევხედავთ, მკაფიოდ გამოჩნდება მომწოდებელი და მიმღები (მაგალითად, აშშ, დიდი

---

[22] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე (განახლებული კრებული) საქართველოს უზენაესი სასამართლო ადამიანის უფლებათა ცენტრი 2017 წ. გვ. 12

[23] ნ. ფარსადანიშვილი, ტრეფიკინგის პრევენცია – სახელმწიფოთა პრაქტიკა და საქართველო, /საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, N2, 2010 გვ.167

[24] კამბოჯა http://www.humantrafficking.org/government_law/15

ბრიტანეთი) ქვეყნები. შესაბამისად, ამ ორი კატეგორიის ქვეყნებს ტრეფიკინგთან ბრძოლის სხვადასხვა გეგმები და არსებულ პრობლემაზე ორიენტირებული კანონები გააჩნიათ. ქვემოთ განვიხილავთ რამდენიმე ქვეყნის რეგულაციას ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლისთვის.

შვეიცარია

ქვეყანა, რომელიც ტრეფიკინგის პრევენციის მხრივ იპყრობს ყურადღებას პირველ კატეგორიაში მოხვედრილ სახელმწიფოთაგან, არის შვეიცარია. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყანას სხვებისაგან ერთი ფრიად საინტერესო რამ გამოარჩევს, კერძოდ, შვეიცარია ზრუნავს არა მარტო საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში ტრეფიკინგის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებაზე, არამედ აქტიურად ეხმარება ტრეფიკინგის მსხვერპლთა წარმოშობის ქვეყნებს საზოგადოების მეტად ინფორმირებულობისა და მსხვერპლად გახდომის პრევენციის უზრუნველსაყოფად. შესაბამისი ღონისძიებების გატარებაზე ანგარიშვალდებულია ფედერა-ლური პოლიციის სამსახურის მიერ 2003 წელს დაფუძნებული შვეიცარიის ადამიანთა ტრეფიკინგისა და მიგრანტთა კონტრაბანდის საკოორდინაციო განყოფილება და საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტი[25].

2003 წლიდან მოყოლებული, დეპარტამენტი ცდილობს, დაეხმაროს უფრო მეტ სახელმწიფოს ტრეფიკინგის პრევენციის საკითხებში და ყოველწლიურად 2-3 მილიონი შვეიცარიული ფრანკი იხარჯება სხვა სახელმწიფოთა დასახმარებლად. დეპარტამენტი დაეხმარა შემდეგ სახელმწიფოებს:[26]

აშშ

აშშ–ს როგორც ერთ–ერთ ყველაზე მსხვილ მიმღებ ქვეყანას შემუშავებული აქვს გარკვეული სტრატეგია და სხვადასხვა კანონები. 2000 წელს აშშ–მ მიიღო კანონი - „ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ (Trafficking Victims Protection Act, 2000) რომლის

[25] Human Traffi cking – A Modern Form of Slavery, A Fact Sheet by the Swiss Coordination Unit against the Traffi cking in Persons and Smuggling of Migrants (KSMM) November 2007, გვ. 3, ხელმისაწვდომია: http://www.childtraffi cking. Com.

[26] Combating Human Traffi cking in Switzerland Progress, Situation, Future Priorities, Report by the KSMM Secretariat, გვ. 18-19

მიზანიცაა ტრანსნაციონალური ტრეფიკინგის აღმოფხვრა და მისი მსხვერპლთა დაცვა. ამ აქტის თანახმად განისაზღვრა ადამიანების ტრეფიკინგის „მძიმე ფორმები“[27]:

1) სექსუალური ექსპლუატაცია – ადამიანის იძულებით, მოტყუებით გადაყვანა, დამალვა ან გამოყენება „კომერციული სექსისთვის“ განსაკუთრებით თუ საქმე ეხება 18 წლამდე ასაკის პირს;

2) იძულებითი (მონური) შრომა – ადამიანის იძულებით, მოტყუებით დამალვა, გადაყვანა და გამოყენება იძულებითი შრომისთვის. დაკავება, ვალების დაფარვის გამო; იგივე ვალების გამო მონობა ან უბრალოდ მონობა. სწორედ ამ აქტის თანახმად, სახელმწიფომ ტრეფიკინგთან ბრძოლის დამხმარე პროგრამის ასამუშავებლად გამოყო და გახარჯა 95 000 000 აშშ $. ასევე ამ აქტით დადგინდა მკაცრი სასჯელის ფორმები, დაწყებული მკაცრი ეკონომიკური სანქციებიდან, დამთავრებული სამუდამო პატიმრობით. ასევე გაიწერა ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის თავშესაფრების ამუშავების პროგრამა და მათი (მსხვერპლთა) აშშ–დან გაყვანის და თავიანთ ქვეყნებში დაბრუნების წესები. ამ აქტის საშუალებით აშშ–ში ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების, რეაბილიტაციის და საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროგრამებიც ამუშავდა.

დიდი ბრიტანეთი

დიდ ბრიტანეთში მოქმედებს „ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია, რომელიც ბრიტანეთში რატიფიცებულ იქნა 2008 წლის 17 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2009 წლის 1 აპრილს.

აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა კანონი, რომლებიც ეხება ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრობლემებს. ესენია: 2004 წლის „თანამშრომელთა ზედამხედველების ლიცენზირების შესახებ“ (The Gangmasters Licensing Act 2004); 2006 წლის „იმიგრაციის, თავშესაფრის და ეროვნულობის შესახებ“ (The Immigration, Asylum, and Nationality Act 2006); 2002 წლის „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის შესახებ“ (The Proceeds of Crime Act 2002); აგრეთვე ევროპის ადამიანთა უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მესამე მუხლი „ადამიანის უფლებები წამების აღკვეთის შესახებ“ (Article 3 of the European Convention on Human Rights prohibits torture); ევროპის ადამიანთა უფლებებისა და

[27]აშშ ((TVPA)2000 Trafficking Victims Protection Act) აშშ–ს სახელმწიფო დეპარტამენტის „აქტი ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ http://www.state.gov/j/tip/rls/rm/2010/141446.htm

ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მეოთხე მუხლი „ადამიანის უფლებები მონობის აკრძალვის შესახებ“ (Article 4 of the European Convention on Human Rights prohibits slavery). დიდმა ბრიტანეთმა ხელი მოაწერა და მიიღო აგრეთვე გაერთიანებული ერების პროტოკოლი „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“, რომელსაც ერთვის გაერთიანებული ერების შესახებ კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“.

თუ ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვია (არასრულწლოვანი), მას შიშის გამო შეუძლია არ ითანამშრომლოს სრულად გამოძიებასთან და პროკურატურასთან. გამოძიების პერიოდში მსხვერპლზე ზრუნავს ადგილობრივი მთავრობა.

ბავშვები ზოგჯერ იძულებით ჩადიან დანაშაულს ადამიანებით მოვაჭრეების ძალდატანებით, როგორიცაა მარიხუანას გავრცელება, მათხოვრობა, მოპარვა და ა. შ. ასეთ შემთხვევაში, პროკურორი ხელმძღვანელობს „ბრალდებულის სასამართლო დევნის (ბავშვის და მოზრდილის) შესახებ წესებით“ (the guidance on Prosecution of Defendants (Children and adults)), რომელიც ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენის ყველა შესაძლო გარემოებას[28].

თუ ტრეფიკინგის მსხვერპლის ასაკი არ არის დადგენილი და არსებობს ვარაუდი, რომ იგი არასრულწლოვანია, მაშინ დაზარალებული არასრულწლოვნად ჩაითვლება და მისი ასაკის დადგენამდე მის მიმართ განხორციელდება სპეციალური დაცვის ღონისძიებები.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა კომპენსაციის საკითხს განიხილავს პროკურორი და ხელმძღვანელობს 2002 წლის „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის შესახებ“ კანონით.

ფილიპინები

ფილიპინების კანონმდებლობის თანახმად არასრულწლოვნად ითვლება 18 წლამდე ასაკის პირი. ფილიპინების კანონის *„ადამიანთა, განსაკუთრებით, ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის აღმოფხვრის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისათვის აუცილებელი ინსტიტუციური მექანიზმების შექმნის, მათი დარღვევისათვის სასჯელთა*

[28] თ. კეცხოველი, თ. კვერნაძე, „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07–3/365; 20.02.2012) http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/aparati-9/kvlevebibiblioteka/sainformacio-furceli-kanonproeqtebistvis1/sainformacio-furclebi-kanonproeqtebisatvis-arqivi.page (გადამოწმებულია 22.01.2019)

დაწესების და სხვა მსგავს საკითხებზე პოლიტიკის შემუშავების შესახებ“ თანახმად, ნებისმიერი პირი, რომელიც დაკავებული იქნება ადამიანით ვაჭრობაზე, ისჯება 20 წლამდე პატიმრობით და ჯარიმით 1 000 000 პესოდან (23 500 USD) 2 000 000 პესომდე (47 000 USD). ასევე, ტრეფიკინგის დანაშაულში ხელშეწყობისათვის ფილიპინებში სასჯელი წარმოადგენს, 15 წლით პატიმრობას და ჯარიმას 500 000 პესოდან (11 750 USD) 1 000 000 პესომდე (23 500 USD). ამ კანონის 6 თავის (საქმის გამოძიების კონფიდენციალობაზე) დარღვევისთვის პირი დაისჯება ჯარიმით 2 000 000 პესოდან (47 000 USD) 5 000 000 პესომდე (117 500 USD)[29]. ამ კანონით ასევე გათვალისწინებულია ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციისათვის სახელმწიფოს მიერ, ტრეფიკინგის პრევენციის, ტრეფიკინგისგან დაცვისა და რეაბილიტაციის სპეციალური პროგრამების შემუშავება. ამ მიზნით, იქმნება შემდეგი სამსახურები: ზედამხედველობის სამსახური; ტრეფიკინგის მონიტორინგთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზის შექმნის სამსახური; შესაბამისი სახელმწიფო სააგენტოების და არასამთავ-რობო ორგანიზაციების ტექნიკური და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახური; სემინარების, კონფერენციების და ტრეფიკინგის პრობლემასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელების ორგანიზების სამსახური[30].

კამბოჯა

კამბოჯაში მოქმედებს *„ადამიანის გატაცების, ტრეფიკინგის და ექსპლუატაციის შესახებ კანონი“,* ამ კანონის თანახმად, ნებისმიერი პირი, რომელიც დამნაშავეა ადამიანის გატაცებაში და ტრეფიკინგში, იქნება ის ქალი თუ კაცი, სრულწლოვანი თუ არასრულწლოვანი, ქვეყნის მოქალაქე თუ უცხოელი, ისჯება 10–15 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ხოლო თუ ტრეფიკინგის მსხვერპლი არის 15 წლამდე ასაკის მაშინ სასჯელმა შეიძლება შეადგინოს 15–20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. იგივე სასჯელი ელის ამ დანაშაულის თანამონაწილეს, ხელშემწყობს, დანაშაულის დამფარავს, ადამიანის გამყიდველსაც და მყიდველსაც[31].

კამბოჯაში ადამიანის ტრეფიკინგის აღმოფხვრაზე მუშაობს სახელმწიფო სააგენტოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები და სახელმწიფო პროგრამები.

---

[29] ფილიპინები http://www.chanrobles.com/republicactno9208.html

[30] თ. კეცხოველი, თ. კვერნაძე, „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07–3/365; 20.02.2012) http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/aparati-9/kvlevebibiblioteka/sainformacio-furceli-kanonproeqtebistvis1/sainformacio-furclebi-kanonproeqtebisatvis-arqivi.page

[31] კამბოჯა http://www.humantrafficking.org/government_law/15 (გადამოწმებულია 22.01.2019)

რაც შეეხება ტრეფიკინგის მსხვერპლ არასრულწლოვან პირებს, მათთვის მუშაობს კამბოჯის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაზაზე და მინისტრთა საბჭოს მიერ შექმნილი „არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი“ (Protection of Juvenile Justice), რომელიც ტრეფიკინგის მსხვერპლ არასრულწლოვან პირებს უწევს იურიდიულ დახმარებას და კონსულტაციებს, ატარებს სპეციალურ იურიდიულ ტრენინგებს. ეწევა ტრეფიკინგის მსხვერპლ არასრულწლოვანი პირების და მათი მშობლების რეაბილიტაციას; აგზავნის და ანაწილებს მათ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებში რეაბილიტაციასა და სოციალურ გარემოში რეინტეგრაციისათვის; ატარებს კვლევებს.

გარდა ზემაღნიშნულისა არსებობს მთელი რიგი დოკუმენტებისა, რომლებშიც სხვადასხვა კუთხითაა განხილული ტრეფიკინგის გამოვლინებანი და მათთან ბრძოლის ღონისძიებანი. ასეთებია, მაგალითად: საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი (2002 წლის 27 სექტემბერი); ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ოქმი (2006 წლის 7 ივნისი); ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (2006 წლის 22 დეკემბერი) და სხვა. ადამიანით ვაჭრობის ცნება სხვადასხვაგვარადაა განმარტებული როგორც დოქტრინაში, ისე საერთაშორისო კონვენციებში (ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის დამატებითი ოქმი – ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ – მე-3 მუხლი; 2005 წლის მაისის ევროსაბჭოს კონვენციის – ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ – I თავის მე-4 მუხლი), მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ განმარტებათა ძირითადი არსი ერთია და იგი მოიცავს:

ა) სათანადო ქმედებებს;

ბ)მათი განხორციელების ხერხსა (ობიექტური შემადგენლობა) და მიზანს (ექსპლუატაციას).

მონობის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის მიხედვით, სახელმწიფოები იყოფიან სამ ჯგუფად:

1. მიმწოდებელი ქვეყანა – რომლის ტერიტორიიდანაც გაჰყავთ მუდმივად მაცხოვრებელი ადამიანები (ე.ი. ექსპლუატაციის მსხვერპლნი);

2. ტრანზიტული ქვეყანა – რომლის ტერიტორიის გავლით ხდება მსხვერპლთა გადაყვანა;

3. დანიშნულების ქვეყანა – ესაა ბოლო სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც ხდება ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა სხვადასხვა სახით ექსპლუატაცია.

აქედან საქართველო ძირითადად მიეკუთვნება ტრანზიტული ქვეყნების ჯგუფს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრეფიკინგის ფაქტების გავრცელებას საქართველოში, 2003 წელს სისხლის სამართლის მოქმედ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა მოჰყვა. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსს ჯერ 143[1]-142[2] მუხლები, ხოლო 2007 წელს 143[3]-ე მუხლი დაემატა. აღნიშნულმა მუხლებმა პასუხისმგებლობა დააწესეს ადამიანით ვაჭრობის, არასრულწლოვნით ვაჭრობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობისათვის. როგორც ვხედავთ, პრობლემა ერთია, მაგრამ ძალზე სერიოზული და გლობალური, რომელსაც ცალკე აღებული ერთი ქვეყანა ვერ გაუმკლავდება მისი ტრანსნაციონალური ხასიათის გამო[32].

შემდეგ თავებში განხილული იქნება ადამიანით ვაჭრობის ძირითადი და კვალიფიციური შემადგენლობები, ასევე ამ დანაშაულის მსგავსი ქმედებების გამიჯვნის საკითხი საქართველოს მაგალითზე.

[32] მ. ბაძაღუა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინოლოგიური დახასიათება (საქართველოს მაგალითზე) დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 2010 გვ. 177

თავი IV. ტრეფიკინგის ძირითადი შემადგენლობის ანალიზი ქართულ კანონმდებლობაში

4.1. ადამიანით ვაჭრობის ობიექტური შემადგენლობის ნიშნები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1]-ე მუხლი სწორედ ზემოთხსენებულ კონვენციათა მიერ მოცემულ ცნებაზეა აგებული. ამ დანაშაულისაგან სისხლის სამართლის დაცვის ობიექტია საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო აქტებით აღიარებული ადამიანის პირადი უფლება და თავისუფლება: ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების უფლება, საცხოვრებელი ადგილისა და საქმიანობის სფეროს თავისუფალი არჩევის უფლება, მისი პატივი და ღირსება. ფაკულტატური ობიექტია ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რომელსაც შეიძლება შეექმნას საფრთხე. დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად:

ა) ქმედებები;

ბ) მისი განხორციელების ხერხები.

ადამიანის მიმართ განხორციელებული ეს ქმედებებია (მუხლი 143[1])[33]:

ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.

ამ ქმედებათა უმრავლესობის განხორციელების ხერხებია:

1. მუქარა - (იგულისხმება ცემის, ჯანმრთელობის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანების, მოტაცების, წამების და სხვა ძალადობის მუქარა, ოღონდ იგი არ უნდა იყოს საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის – რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 143[1]-ე მუხლის მე-3 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით);

[33]საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/sisxlis_samartlis_kodeqsi.pdf

2. ძალადობა - (იგულისხმება ცემა, ჯანმრთელობის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, წამება, გათოკვა და სხვა);

3. იძულების სხვა ფორმის გამოყენება - (სისტემატური დამცირება და აბუჩად აგდება, რათა პირი იძულებული გახდეს, დაემორჩილოს დამნაშავეს);

4. მოტაცება - (პირის იძულებითი გადაადგილება სხვა ადგილას);

5. შანტაჟი - (სახელის გამტეხი ან დანაშაულში მამხილებელი ცნობის გავრცელების მუქარა);

6. თაღლითობა (დამნაშავე მოტყუებით ეუფლება მსხვერპლის ნივთს და შემდეგ ამ ნივთის დაბრუნების საბაბით აბამს მას ექსპლუატაციაში);

7. მოტყუება - (მსხვერპლის შეცდომაში შეყვანა სხვადასხვა ცრუ დაპირებით. მაგალითად, რომ მოაწყობს სამუშაოზე. სინამდვილეში კი მიჰყავს ექსპლუატაციაში ჩასაბმელად);

8. უმწეო მდგომარეობის გამოყენება - (ამ შემთხვევაში უმწეო მდგომარეობაში მყოფი ამ დანაშაულის ამსრულებელია და არა მსხვერპლი. აქ იგულისხმება მხოლოდ ფიზიკური (და არა ფსიქიკური) უმწეობა, როცა პირი იყენებს თავის უმწეობას იმისათვის, რომ დაარწმუნოს მისი ახლო ნათესავი ექსპლუატაციაში ჩაბმის აუცილებლობაში;

9. ძალაუფლების ბოროტად გამოყენება – მასში ვერ ვიგულისხმებთ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებას (ამ მუხლის მე-2 ნაწილი), ვერც საოჯახო, პედაგოგიურ ან მატერიალურ დამოკიდებულებას (ამ მუხლის მე-2 ნაწილი). ამ შემთხვევაში იგულისხმება მხოლოდ კრიმინალური ძალაუფლების გამოყენება ადამიანით ვაჭრობისათვის;

10. საზღაურის ან სარგებლის მიცემა იმ პირზე, ვისაც სხვა პირზე (ანუ ექსპლუატაციის პოტენციურ მსხვერპლზე) ზეგავლენის მოხდენა შეუძლია;

11. საზღაურის ან სარგებლის მიღება იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე (ექსპლუატაციის პოტენციურ მსხვერპლზე) ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. აშკარაა, რომ ამ ბოლო ორ შემთხვევაში დანაშაულის ხერხია მოსყიდვა, მაგრამ ხდება არა თავად მსხვერპლის, არამედ იმ პირთა მოსყიდვა, ვისაც მსხვერპლზე შეუძლია ზეგავლენის მოხდენა სხვადასხვა საშუალების (მაგალითად, მუქარის) გამოყენებით. რეალურად აქ სახეზეა ისეთი

ქმედება, რომელსაც სისხლის სამართლის ენაზე წაქეზება წაქეზებისაკენ ჰქვია და ისჯება, როგორც წაქეზება ანუ სათანადო რეაგირების გარეშე არ რჩება, მაგრამ სსკ 143[1]-ე მუხლში აღნიშნული დებულების შეტანით, როგორც ჩანს, კანონმდებელს სურდა ტრეფიკინგთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების ჩამდენი პირისათვის, როგორც ამ დანაშაულის ამსრულებლისათვის ისე მოეთხოვა პასუხი და არა, როგორც რიგითი თანამონაწილისათვის, კერძოდ წამქეზებლობისათვის. თუმცა ამ დამატებამ, ჩვენი აზრით, კანონი ცოტა მძიმედ აღსაქმელი და ბუნდოვანი გახადა, რისი აუცილებლობაც ვფიქრობთ არ იყო.

ჩამოთვლილი ხერხების გამოყენება არაა დამახასიათებელი ადამიანის ყიდვა-გაყიდვისა და მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებისათვის. ასევე იგი არ ახასიათებს ადამიანის მიღებას ექსპლუატაციის მიზნით. სხვა ქმედებების განხორცილებისას კი (მაგალითად, გადაბირების, გადაყვანის, გადამალვის და ა. შ.), აუცილებელია, ერთ-ერთი ამ ხერხის გამოყენება.

როგორც ვხედავთ, სახეზეა ერთიანი დანაშაული ალტერნატიული ქმედებებით. ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის საკმარისია ერთ-ერთი მათგანის ჩადენა (მაგალითად, ყიდვის). ამასთანავე, როცა სახეზეა შესაბამისი ხერხით განხორციელებული რამდენიმე ქმედება, რომელიც ჩადენილია ერთიანი განზრახვით (მაგალითად, დამნაშავემ იყიდა მსხვერპლი, შემდეგ გადაიბირა და გადაიყვანა იგი მუქარით და მიჰყიდა ექსპლუატატორს), ქმედება დაკვალიფიცირდება არა დანაშაულთა ერთობლიობით, არამედ როგორც ერთი დანაშაული (სსკ-ის 143[1]-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით). სანამ დეტალურად განვიხილავდეთ სსკ-ის 143[1]-ე მუხლის ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობას, უნდა შევნიშნოთ, რომ ადამიანით ვაჭრობა, როგორც წესი, გაივლის რამდენიმე სტადიას:

1. მსხვერპლის გამოძებნა და თავმოყრა;

2. მისი გადაადგილება (როგორც ქვეყნის შიგნით, ისე სახელმწიფო საზღვარზე ტრანზიტით გადაყვანა);

3. მისი მიღება ექსპლუატაციის მიზნით;

4. მისი ექსპლუატაცია. უნდა აღინიშნოს, რომ მსხვერპლის გამოძებნა (მისი გამოვლენა), წინ უძღვის ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებას.

დამნაშავეები წინასწარ სწავლობენ პოტენციური მსხვერპლის პიროვნებას (მის გარეგნობას, მორალურ, ინტელექტუალურ და ფიზიკურ შესაძლებლობებს), ასევე მის ახლობელთა წრეს, რათა შეიტყონ, რამდენად სარისკოა ამ პირის ექსპლუატაციაში ჩაბმა. ეს წინარე ქმედებები, რომლის მიზანია მსხვერპლის გამოძებნა, არ შედის სსკის 143[1]-ე მუხლის ობიექტურ შემადგენლობაში. იგი მხოლოდ დანაშაულის მომზადებად შეიძლება ჩაითვალოს, ისიც სათანადო პირობების არსებობისას. მაგალითად, ა-მ შექმნა ტურისტული ფირმა ვითომ საზღვარგარეთ სამუშაოდ წამსვლელთა მომსახურებისათვის. სინამდვილეში კი იქ მისული მოქალაქეებისაგან საგულდაგულოდ არჩევს ექსპლუატაციის პოტენციურ მსხვერპლთ, რათა მომავალში სხვადასხვა ხერხით მოახდინოს მათი გადაბირება, გადაყვანა ექსპლუატაციაში ჩასაბმელად. პოტენციურ მსხვერპლთა მძებნელი და შემკრები, როგორც წესი, თავად არ ახდენს მათ ექსპლუატაციას, არამედ მსხვერპლს გადასცემს სხვას, იმას, ვინც მიიღებს მას ექსპლუატაციისათვის. პოტენციურ მსხვერპლთა ამგვარი შერჩევა (მათ გადაბირებამდე) უნდა ჩაითვალოს ადამიანით ვაჭრობის მომზადებად – სსკ-ის 143[1]-ე მუხლი (თუ რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი დადასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით). რაც შეეხება მსხვერპლის ექსპლუატაციას, მისი რეალურად განხორციელება არაა ადამიანით ვაჭრობის ობიექტური შემადგენლობის ალტერნატიულ-სავალდებულო ნიშანი. ამდენად, იგი არაა აღწერილი განსა-ხილველი მუხლის შემადგენლობაში და დანაშაული ექსპლუატაციის პრაქტიკულად განხორციელებამდეც დამთავრებულია. თუმცა საქმე ისაა, რომ ექსპლუატაციის რეალურად განხორციელების შემთხვევაში ქმედების დამატებითი კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით, როგორც წესი, საჭირო არაა (გარდა იმ შემთხვევისა, როცა მსხვერპლი ჩაბმულია დანაშაულებრივ ქმედებაში).

ამდენად, ადამიანის ექსპლუატაციის რეალურად განხორციელება არაა აღწერილი სსკ-ის 143[1]-ე მუხლში, მაგრამ იგი მასში, როგორც წესი, იგულისხმება.

ადამიანის ყიდვა-გაყიდვა _ იგი შესაძლებელია განხორციელდეს იმ პირისთვის ფულის გადახდით, ვისაც ფაქტობრივად შეუძლია მსხვერპლის მყიდველისთვის გადაცემა. მსხვერპლის მყიდველისთვის გადაცემა კი შეუძლია გაყიდულის მშობელს, მეუღლეს, სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან ნებისმიერ სხვას, ვინც ადამიანი მოტყუებით ან ძალადობით მიუყვანა მყიდველს.

ადამიანის ყიდვა ასევე შეიძლება მისი სხვა ნივთში გაცვლით, ვალში ჩათვლით. იგივე ითქმის ადამიანის გაყიდვაზე, რადგან ყიდვა-გაყიდვა ურთიერთგანპირობებული ქმედებებია,

ისინი ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ. ვინაიდან ადამიანის ყიდვა-გაყიდვა ყოველთვის უკანონოდ ხდება, ამიტომ განსახილველ მუხლში არაა მითითება ამ ქმედების უკანონობაზე, რადგან იგი ისედაც იგულისხმება. თუმცა ეს ქმედება შეიძლება განხორციელდეს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებში. მაგალითად, ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის ყიდვა იმ მიზნით, რომ იგი დაუბრუნონ თავის ოჯახს, გამორიცხავს ამ ქმედების მართლწინააღმდეგობას[34]. ადამიანის ყიდვის შემდეგ, როგორც წესი, გაყიდული პირი გადადის მყიდველის უვადო ,,მფლობელობაში". თუმცა არაა გამორიცხული, გამყიდველი და მყიდველი შეთანხმდნენ გარკვეულ ვადაზეც (მაგალითად, მსხვერპლის გაყიდვა იმ ვადით, რაც დაფიქსირებულია საზღვარგარეთ მისი ყოფნის ვიზაში). აქვე ადამიანის ყიდვა-გაყიდვა უნდა გავმიჯნოთ ისეთი კანონიერი გარიგებისაგან, როცა მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე ადამიანი გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ კისრულობს ვალდებულებას, ითანამშრომლოს ვთქვათ, რომელიმე საფეხბურთო გუნდთან გარკვეული ვადით ან უვადოდ. სპორტში ხშირია შემთხვევა, როცა ცნობილი სპორტსმენი გადადის ერთი გუნდიდან მეორეში, რადგან მას იქ მეტ ანაზღაურებას და უკეთეს პირობებს სთავაზობენ. ასეთი გარიგება კანონიერია და მას არავითარი საერთო არ აქვს ადამიანის ყიდვა-გაყიდვასთან (თუმცა ასეთ შემთხვევაში ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ თითქოს ეს სპორტსმენი ,,იყიდა" ამა და ამ გუნდმა). ადამიანის ყიდვის დროს კი მსხვერპლი ისე გადადის მყიდველის მფლობელობაში, რომ ეს გარიგება არსად არაა დაფიქსირებული (იგი ვერც დაფიქსირდება, რადგან უკანონოა).

აქედან გამომდინარე, მყიდველს შეუძლია მოექცეს მას ისე, როგორც მოესურვება. ამასთანავე, გაყიდული ადამიანის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი ოფიციალურად არსად არაა დაფიქსირებული, იგი გამქრალია სამართლებრივი სივრციდან (არც ცოცხლებშია და არც გარდაცვლილებში). თუ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი მისი ექსპლუატაციისას გარდაიცვალა, ან მოკლეს, მისი გარდაცვალების ფაქტობრივი ადგილი არ იქნება დაფიქსირებული, რადგან ეს შეიძლება გახდეს სამხილი დამნაშავეებისათვის. უფრო მეტიც, შესაძლებელია, მისი გარდაცვალების არა მარტო ადგილი, არამედ ფაქტიც კი დაუფიქსირებელი გახდეს და შეიქმნეს ვითარება, როცა პირი გარდაცვლილია, მაგრამ ეს ფაქტი არაა რეგისტრირებული.

[34]დ. ჯულუხაძე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ტრეფიკინგისთვის,თბ., 2006, გვ. 9.

სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ადამიანის ყიდვა-გაყიდვა შეიძლება მოხდეს ფულის გადახდით, რაიმე ნივთში გაცვლით, ვალში ჩათვლით[35].

გამოთქმული თვალსაზრისის ის ნაწილი, რომელიც ადამიანის გაცვლას ან ვალში ჩათვლას, ყიდვა-გაყიდვად მიიჩნევს, ერთხელ უკვე იყო განსჯის საგანი ჩემს ნაშრომში[36], მაგრამ ამ რამდენიმე ხნის წინ გამოცემულ სასამართლო პრაქტიკის კომენტარში, ადამიანის ყიდვა-გაყიდვას ისეთივე განმარტება აქვს მიცემული, როგორსაც აღნიშნული სახელმძღვანელოს ავტორები იძლევიან[37].

ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია, უფრო ვრცლად და დასაბუთებულად განვმარტო, რომ კერძოსამართლის ენაზე, ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს მყიდველის მხრიდან გამყიდველისათვის ფულის გადახდას, ხოლო გამყიდველის მხრიდან გაყიდული ნივთის (ამ შემთხვევაში ადამიანის) გადაცემას მყიდველის საკუთრებაში. ყიდვა-გაყიდვა სწორედ რომ საფასურის გადახდას გულისხმობს. რაც შეეხება ადამიანის გაცვლას რაიმე ნივთში ან მის გადაცემას ვალის სანაცვლოდ, იგი უნდა განვიხილოთ, როგორც ადამიანის მიმართ სხვა სხვა უკანონო გარიგების განხორციელება. მართალია, ყიდვა-გაყიდვა და გაცვლა ერთმანეთს ემსგავსებიან, მაგრამ მათ შორის არსებობს განსხვავება ,,ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, გაცვლის დროს ეკვივალენტის სახით გამოდის არა ფული, არამედ ტოლფასი ქონება[38]".

ადამიანის ყიდვა-გაყიდვისას არაა აუცილებელი ისეთი ხერხების გამოყენება, როგორიცაა მუქარა, მოტყუება, ძალადობა და სხვა. ყიდვა-გაყიდვა შეიძლება მოხდეს თვით მსხვერპლთან შეთანხმებით და ეს არ გამორიცხავს ქმედების მართლწინააღმდეგობას, რადგან თავად ეს გარიგებაა უკანონო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსხვერპლის თანხმობის შემთხვევაშიც ,,საზღაური" გადაეცემა არა მას (მსხვერპლს), არამედ მესამე პირს (მაგალითად, მის მეუღლეს[39]). თუ ასეთი საზღაური (ფული) გადაეცა თავად მსხვერპლს, რათა მიღწეულ იქნეს მისი თანხმობა ექსპლუატაციაში ჩაბმაზე, ასეთი გარიგება არ ჩაითვლება ადამიანის

---

[35] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2008 გვ.211

[36]ჯულუხაძე დ., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ტრეფიკინგისათვის, თბ., 2006 გვ.12

[37]სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თავი XXII-XXIV), თბ., 2008 გვ.143

[38] ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბ., 1999 გვ.112

[39] ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა (ტრეფიკინგი) http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00 (გადამოწმებული, 20.12.2018)

ყიდვა-გაყიდვად. ასეთი გარიგება უნდა ჩაითვალოს ადამიანის გადაბირებად, რომლის ხერხად გამოყენებულია მოსყიდვა. მოსყიდვა კი, როგორც დანაშაულის ხერხი, იგულისხმება არასრულწლოვნით ვაჭრობისას (სსკ-ის 143[2]-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), მაგრამ ასეთი ხერხი არაა მოცემული ადამიანით ვაჭრობის (სსკ-ის 143[1]-ე მუხლი) შემადგენლობაში. ამდენად, სრულწლოვანის გადაბირებისათვის მოსყიდვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არაა დაწესებული. ეს სწორიცაა, რადგან ცდუნება საზღაურის დაპირებით ექსპლუატაციის ხერხად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ არასრულწლოვნის მიმართ, რომლის ზნეობრივი კრედო და ფსიქიკა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და დამნაშავე სარგებლობს ამ ვითარებით. აქედან გამომდინარე, ვერ დავეთანხმებით იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ სხვა უკანონო გარიგებაში იგულისხმება დამნაშავესა და დაზარალებულს შორის რაიმე უკანონო მორიგება-შეთანხმება და რომ ადამიანის პროსტიტუციაში ჩაბმა სოლიდური თანხის დაპირებით, თითქოს უნდა შეფასდეს, როგორც ადამიანის მიმართ სხვა უკანონო გარიგება[40]. ეს მოსაზრება არაა მისაღები, რადგან:

ა) ,,ცდუნება", რაშიც ძირითადად იგულისხმება მოსყიდვა, როგორც მსხვერპლზე ზემოქმედების ხერხი, საერთოდ არაა გათვალისწინებული სსკ-ის 143[1]-ე მუხლში;

ბ) ადამიანის მიმართ უკანონო გარიგებისას დანაშაულის მსხვერპლი საერთოდ არაა ამ გარიგების მონაწილე (სუბიექტი), იგი ამ გარიგების ობიექტია, ე.ი. გარიგება მიდის დამნაშავესა და სხვა პირს შორის. გარდა ამისა, სრულწლოვნის ჩაბმა პროსტიტუციაში მოსყიდვით, საერთოდ არაა სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედება. ასეთი ქმედებისათვის პასუხისმგებლობა დაკისრებულია იმ შემთხვევაში, თუ იგი მიმართულია არასრულწლოვნისკენ. ასეთი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ უნდა დაკვალიფიცირდეს ან სსკ-ის 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით (არასრულწლოვნის ჩაბმა პროსტიტუციაში ძალადობის, ძალადობის მუქარისა და მოტყუების გარეშე), ან როგორც არასრულწლოვნით ვაჭრობა (თუ მას მცირეწლოვნების ან სხვა მიზეზის გამო არ ესმოდა, რა ქმედებაში იყო ჩაბმული). ადამიანის ყიდვა-გაყიდვა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს მაშინ, როცა გაყიდული პირი გადავა მყიდველის ,,მფლობელობაში". მხოლოდ მხარეთა შეთანხმება, თუნდაც მას ახლდეს გამყიდველზე ფულის გადაცემა, არ უნდა შეფასდეს, როგორც ადამიანის გაყიდვა ან ყიდვა, თუ მას თან არ ახლავს გაყიდული პირის ფაქტობრივი გადაცემა მყიდველზე. ეს გარიგება ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავდება რამდენიმე ნიშნით:

[40] გ. ლობჟანიძე, ტრეფიკინგის სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2006, გვ. 146

1. გარიგება აქ არის უკანონო. ამდენად, მყიდველს ფულის გადახდის მომენტიდან არანაირი სამართლებრივი უფლება პირზე არ წარმოეშობა, ხოლო ფაქტობრივი შესაძლებლობა მისი გამოყენებისა, ჯერ არ აქვს;

2. გარიგება ეხება ადამიანს (და არა ნივთს). ადამიანი კი გაყიდულად მაშინ უნდა ჩაითვალოს, როცა იგი ფაქტობრივად გადავა მყიდველის ხელში, რადგან მხოლოდ ამ მომენტიდან შეუძლია მყიდველს გამოიყენოს იგი თავისი შეხედულებისამებრ.

ადამიანის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება – უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ყიდვა-გაყიდვაც უკანონო გარიგების ერთ-ერთი სახეა, ხოლო სხვა უკანონო გარიგებაში შეიძლება ვიგულისხმოთ შემთხვევა, როცა ადამიანით მოვაჭრე მსხვერპლის კანონიერი წარმომადგენლისაგან (ან სხვა პირისაგან) ითხოვს ამ ადამიანის გადაცემას და სანაცვლოდ მას ჰპირდება, რომ შეასრულებს მისთვის სასარგებლო ქმედებას. მაგალითად, იზრუნებს მის მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე, ან იმაზე, რომ არ იქნეს დაწყებული ასეთი დევნა, ანდა უშოვის მას სამსახურს, ხელს შეუწყობს ბიზნესის წამოწყებაში, ჩამოაშორებს კონკურენტს ბიზნესში და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვა უკანონო გარიგება უნდა განხორციელდეს არა თავად მსხვერპლთან, არამედ მესამე პირთან (გარიგება ,,მის მიმართ" და არა ,,მასთან"). მის მიმართ უკანონო გარიგების განხორ-ციელებაში არ იგულისხმება მესამე პირზე ფულის ან ნივთის გადაცემა, რადგან ასეთი გარიგება ყიდვა-გაყიდვად უნდა ჩაითვალოს. ამასთანავე, რადგან ყიდვა-გაყიდვაც უკანონო გარიგების ერთ-ერთი სახეა, სხვა უკანონო გარიგების დამთავრების მომენტიც ისევე უნდა განისაზღვროს, როგორც ყიდვა-გაყიდვისა. კერძოდ, იგი დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს მსხვერპლის დამნაშავეზე ფაქტობრივი გადაცემის მომენტიდან.

გადაბირება – მასში იგულისხმება პირის დაყოლიება ექსპლუატაციაში იმ ხერხების გამოყენებით, რაც მითითებულია სსკ-ის 143[1]-ე მუხლში (მოტყუება, მუქარა და სხვა). თუ პირის გადაბირებისათვის არც ერთი ამ ხერხთაგანი არაა გამოყენებული, დანაშაულის შემადგენლობა სახეზე არ არის. მაგალითად, არ ჩაითვლება სრულწლოვნის გადაბირებად მისი შეგონება, რომ სჯობს ჩაებას ექსპლუატაციაში (ვთქვათ, პროსტიტუციაში) ლუკმა პურის სანაცვლოდ, ვიდრე იყოს მშიერი და ნაგავში ეძებოს საკვები. თუ სრულწლოვანი ასეთ შეგონებას დაჰყვება, ადამიანით ვაჭრობის შემადგენლობა სახეზე არ გვაქვს.

გადაყვანა – ამ დროს ხდება მსხვერპლის გადაადგილება ქვეყნის ერთი ადგილიდან მეორეში ნებისმიერი გზით - ფეხით, სატრანსპორტო საშუალებით (ოღონდ თუ

სატრანსპორტო საშუალებას თავად დამნაშავე მართავს, ეს ჩაითვლება არა გადაყვანად, არამედ ტრანსპორტირებად). ამასთან, აუცილებელი არაა მსხვერპლს თან ახლდეს დამნაშავე. შესაძლოა, მან სხვა გზით უზრუნველყოს მისი გადაყვანა (ტრანსპორტის გამოძებნით, საბუთების გაფორმებაში ხელის შეწყობით, მგზავრობის დაფინანსებით და სხვა). გადაყვანის ხერხად ასევე გამოყენებული უნდა იყოს მუქარა, მოტყუება ან 143[1]-ე მუხლში მითითებული სხვა ხერხი.

გადამალვა – იგი გულისხმობს მსხვერპლის მოთავსებას ისეთ ადგილას, რაც გამორიცხავს როგორც მის თავისუფალ გადაადგილებას, ასევე შემთხვევითი პირების კონტაქტს მასთან. ეს შესაძლოა იყოს ბინა, რაიმე სათავსო, ტყე და სხვა. გადამალვის მიზანი შეიძლება იყოს პირის შემდგომი გადაბირება ან ტრანსპორტირება, მისი გადაცემა ექსპლუატა-ტორზე ან შემდგომი ჩაბმა ექსპლუატაციაში. გადამალვა თავის თავში მოიცავს თავისუფლების უკანონო აღკვეთას და დამატებითი კვალიფიკაცია სსკ-ის 143-ე მუხლით საჭირო არაა. გადამალვისას ასევე გამოყენებული უნდა იყოს ზემოთმითითებული ხერხიდან რომელიმე (მაგალითად, მოტყუება[41]). ვინაიდან სახეზეა ერთიანი დანაშაული ალტერნატიული ქმედებებით, შესაძლოა, ყველა ეს ქმედება (გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა) ერთმა პირმა ჩაიდინოს და ეს ზეგავლენას ვერ მოახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე, მაგრამ იგი აისახება ბრალდებაში. შესაძლოა, ეს ქმედებები შეთანხმებულად სხვადასხვა პირებმა ჩაიდინონ – ერთმა გადაიბიროს, მეორემ გადაიყვანოს, ხოლო მესამემ გადამალოს. ასეთ შემთხვევაში, არაა აუცილებელი, ყველა მათგანმა გამოიყენოს სსკ-ის 143[1]-ე მუხლში მითითებული ხერხი. განსაკუთრებით ეს ითქმის ისეთ ხერხზე, როგორიცაა მოტყუება, მუქარა და შანტაჟი. ეს ხერხი შესაძლოა გამოიყენოს მხოლოდ იმან, ვინც გადაიბირა მსხვერპლი. სხვებმა კი (ვინც გადაიყვანა და გადამალა იგი), მხოლოდ იციან ამის შესახებ. მოტყუებით გადაბირებული პირი ფორმალურად ნებით მიჰყვება დამნაშავეს და ასევე ნებაყოფლობით ჩერდება იმ ადგილას, სადაც მას ათავსებენ. დაქირავება – საერთოდ იგი ჩვეულებრივი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სახეა (გარკვეული ანაზღაურების პირობით რაიმე სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა. ასევე სხვისი ნივთის (როგორც მოძრავი, ისე უძრავი) გარკვეული ვადით გამოყენება მესაკუთრისათვის ანაზღაურების გადახდის პირობით). განსახილველ შემთხვევაში იგულისხმება პირის არა კანონიერი დაქირავება (შესაბამისი კონტრაქტის საფუძველზე), არამედ პირი ქირავდება მისი

[41] მ. ბაძაღუა ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგი (საქართველოს მაგალითზე) თბ. 2011გვ.40-41

ექსპლუატაციისათვის, როგორც ნივთი და საზღაური გადაეცემა არა თავად მას (დაქირავებულს), არამედ სხვას. ეს სხვა შეიძლება იყოს მისი ახლო ნათესავი (მაგალითად, მეუღლე), ასევე მსხვერპლის ,,მესაკუთრე", რომელსაც იგი ნაყიდი ჰყავს, როგორც მონა[42]. აქვე დაქირავება უნდა განვასხვავოთ ადამიანის ყიდვისაგან. ყიდვის დროს მყიდველი ერთიან თანხაზე თანხმდება გამყიდველთან და როგორც წესი, ერთიანად იხდის მას. გაყიდული პირი კი მის უვადო ,,სარგებლობაში" გადადის, როგორც ნივთი. დაქირავების დროს კი დამქირავებელი (ექსპლუატატორი) და გამქირავებელი (იგი შესაძლოა, არ იყოს ექსპლუატატორი) თანხმდებიან იმაზე, რომ მსხვერპლი დამქირავებელს გადაეცემა ხანმოკლე ვადით (მაგალითად, ერთი დღით) გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად და ქირაც ქირავნობის დროის შესაბამისად განისაზღვრება. რა თქმა უნდა, ქირა არაადეკვატურია შესრულებულ სამუშაოსთან მიმართებაში და ამასთან დამნაშავე მსხვერპლის მიმართ იყენებს კანონში მითითებულ რომელიმე ხერხს[43].

დაქირავებაში იგულისხმება ისეთი შემთხვევაც, როცა შესასრულებელი სამუშაოს საზღაური გადაეცემა თავად დაქირავებულს, მაგრამ ეს საზღაური არაადეკვატურია და რაც მთავარია, მსხვერპლის თანხმობისათვის გამოყენებულია ერთ-ერთი ის ხერხი, რაც მითითებულია სსკ-ის 143[1]-ე მუხლში. ამ შემთხვევაში თუ დამნაშავის მიერ გამოყენებული არაა კანონში მითითებული რომელიმე ხერხი, დაქირავებულის მიმართ გადახდილი ანაზღაურება რაც არ უნდა არაადეკვატური იყოს, ადამიანის ექსპლუატაციასთან საქმე არ გვაქვს, რადგან[44]:

ა) ანაზღაურების არაადეკვატურობა შეფასებითი ცნებაა და მისი კრიტერიუმი განსხვავებულია სხვადასხვა სახელმწიფოში. მაგალითად, რაც საქართველოს მოქალაქისათვის ,,ნორმალური ანაზღაურებაა", ის განვითარებული ქვეყნის მოქალაქისათვის (იქ ცხოვრების დონიდან გამომდინარე) არაადეკვატურია. ამიტომ არ უნდა შეიქმნას ისეთი ვითარება, როცა უცხოეთში სამუშაოდ წასული საქართველოს მოქალაქე კმაყოფილია თავისი შრომის ანაზღაურებით, თუმცა ეს ანაზღაურება იმ ქვეყანაში შესაძლოა შეფასდეს ადამიანის ექსპლუატაციად;

---

[42]ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშე-ფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში თბ.2012 გვ. 289

[43] მ. ბაძაღუა ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგი (საქართველოს მაგალითზე) თბ. 2011გვ.40-41

[44] ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშე-ფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში თბ.2012 გვ. 291

ბ) მოცემულ შემთხვევაში დაქირავებული არის სრულწლოვანი პირი;

გ) საერთოდ, რამდენად ადეკვატურ ანაზღაურებაზე შეთანხმდებიან მხარეები კანონით დაშვებული სამუშაოს შესასრულებლად, ეს მათ შეთანხმებაზე უნდა იყოს დამოკიდებული. თუ სრულწლოვან მოქალაქეს აკმაყოფილებს შეთავაზებული ანაზღაურება, არავის აქვს უფლება (მათ შორის სახელმწიფოს), ჩაერიოს ასეთ ურთიერთობაში. სხვა საკითხია, თუ მხარეები თანხმდებიან კანონსაწინააღმდეგო სამუშაოს შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში, მათ პასუხი უნდა აგონ იმ კანონის შესაბამისად, რომელიც კრძალავს ასეთი სამუშაოს შესრულებას (და არა ადამიანის ექსპლუატაციისათვის).

ტრანსპორტირება – აქ იგულისხმება მსხვერპლის გადაადგილება ერთი ადგილიდან მეორე ადგილას (მათ შორის საზღვარგარეთაც) ნებისმიერი სახის ტრანსპორტით (როგორც საქალაქო, ისე წყლისა და საჰაერო ტრანსპორტით). ამასთან, ამ ქმედების ამსრულებელია ის, ვინც ტრანსპორტს მართავს და გაცნობიერებული აქვს, რომ ახდენს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის გადაადგილებას. განსხვავებით გადაყვანისაგან, სადაც ამ ქმედების ამსრულებელი, შესაძლოა, თავად არც ახლდეს მსხვერპლს გადაყვანისას (მაგრამ უზრუნველყოს მისი ტრანსპორტირება). ტრანსპორტირებისას დამნაშავე თავად მართავს იმ ტრანსპორტს, რითაც ხდება მსხვერპლის გადაყვანა. საერთოდ, გადაყვანა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ტრანსპორტირება, მაგრამ ვინაიდან კანონმდებელმა ტრანსპორტირება დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ცალკე ნიშნად გამოჰყო, იგი უკვე არ იგულისხმება გადაყვანაში. გადაცემა – აქ იგულისხმება მსხვერპლის ჩაბარება სხვა პირზე. იგი შეიძლება იყოს ექსპლუატატორი ან სხვა, რომელმაც იგი დროებით უნდა გადამალოს. გადაცემა არ გულისხმობს არც გადაყვანას და არც ტრანსპორტირებას. ეს ქმედებები შესაძლოა, სხვა პირმა განახორციელოს. მაგალითად, ა-მ მოტყუებით გადაიყვანა ბ. საზღვარგარეთ და მიიყვანა ერთ-ერთი ქალაქის სასტუმროსთან, სადაც მას ელოდებოდა ც. (რომელსაც გაცნობიერებული აქვს საქმის ვითარება), რომელმაც მსხვერპლი გადასცა სასტუმროს მეპატრონეს. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ქმედების (მსხვერპლის გადაცემა) ჩამდენი, სანამ სსკ-ის 143[1]-ე მუხლში ეს ქმედება სახელდებით არ იყო გათვალისწინებული, ვერ ჩაითვლებოდა დანაშაულის ამსრულებლად[45]. იგი ითვლებოდა თანამონაწილედ ადამიანით ვაჭრობაში, კერძოდ, დამხმარედ. ამდენად, ამ

[45]ჯულუხაძე დ. პასუხისმგებლობა ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობისათვის // კულტურათაშორისი კომუნიკაციები თბ. 2009. - N8. - გვ.156

საკანონმდებლო სიახლით გამკაცრდა პასუხისმგებლობა აღნიშნული ქმედებისათვის.

შეფარება – საერთოდ შეფარება გულისხმობს ადამიანის დაფარვას რაიმე განსაცდელისაგან, ხიფათისაგან, მის გამოხსნას რთული ვითარებიდან. განსახილველ შემთხვევაში შეფარება გულისხმობს უსახლკარო, უმუშევარი, მშიერი ადამიანის უზრუნველყოფას თავშესაფრით, სამუშაოთი ან საკვებით. ასეთ ვითარებაში, ბევრი კითხვა იბადება. კერძოდ, საქართველოს სინამდვილეში, სადაც სიდუხჭირეში მყოფთა სოციალური დახმარების საკითხი პრობლემურია, რაში სჭირდება პირს განსაცდელში მყოფის ამ ვითარებიდან გამოხსნისათვის გამოიყენოს ისეთი ხერხი, როგორიცაა ძალადობა, მუქარა, შანტაჟი და სხვა განა განსაცდელში მყოფი ამ ხერხის გამოყენების გარეშეც დიდი სიამოვნებით და მადლიერებით არ დათანხმდება მას შეფარებაზე, თუნდაც რაიმე სამუშაოს შესრულების პირობით? ან, რატომაა ვალდებული პირი, რომელმაც შეიფარა განსაცდელში მყოფი, ადეკვა-ტურად აუნაზღაუროს მას გაწეული სამუშაო? რა თქმა უნდა, შეფარებული პირის გამოყენება მძიმე სამუშაოსათვის, ლუკმა-პურის სანაცვლოდ, ამორალური ქმედებაა, რადგან პირი სარგებლობს იმით, რომ განსაცდელში მყოფს სხვა გამოსავალი არ აქვს, მაგრამ ეს საკითხის მორალური მხარეა და მას საერთო არ აქვს ადამიანით ვაჭრობასთან.

ადამიანის მიღება ექსპლუატაციის მიზნით – აქ იგულისხმება შემთხვევა, როცა ექსპლუატატორი, წინასწარი შეცნობით, სხვის მიერ, ამა თუ იმ ხერხით, უკვე გადაბირებულ ადამიანს იღებს ექსპლუატაციის გასაწევად. მართალია, მას თავად არ გამოუყენებია რაიმე ხერხი მისი გადაბირებისათვის, მაგრამ იცის, რომ ეს ხერხი სხვამ გამოიყენა. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროსაბჭოს კონვენციის მე-4 მუხლის შინაარსის თანახმად, ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის თანხმობა, გამოყენებულ იქნეს ექსპლუატაციის მიზნებისათვის, არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ ეს თანხმობა მიღებულ იქნა ისეთი საშუალების გამოყენებით, როგორიცაა: მუქარა, ძალადობა, იძულების სხვა ფორმა, მოტყუება და სხვა (რაც ჩამოთვლილია კონვენციის ამავე მუხლში[46]). ამით კონვენციის ავტორებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ თუ სრულწლოვნის თანხმობა ექსპლუატაციაში ჩაბმაზე არის მოჩვენებითი, ასეთ თანხმობას მნიშვნელობა არ მიენიჭება და მისი ექსპლუატაციაში ჩაბმა ჩაითვლება ადამიანით ვაჭრობად. იგივე აზრია გატარებული სსკ-ის 143[1]-ე მუხლის შენიშვნაში, სადაც წერია: "პირის თანხმობას მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ აქვს". მტკიცების საკითხია, როგორ დადგინდეს, იცოდა თუ არა პირმა, რომ

[46] ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშე-ფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში თბ.2012 გვ. 305-306

ადამიანის თანხმობა იყო მოჩვენებითი, არარეალური. ამის დასადგენად სხვა მტკიცებულებებთან ერთად, გამოდგება იმის დადგენა, თუ რა მდგომარეობაში იყო გარეგნული თუ ემოციური თვალსაზრისით ის ადამიანი, ვინც თანხმობა განაცხადა ექსპლუატაციაზე (ეტყობოდა ძალადობის ნიშნები, იყო აღელვებული, დაშინებული და სხვა).

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) განხორციელებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდულ პირს. ამ უკანასკნელისათვის სისხლის სამართლის კოდექსში პასუხისმგებლობა განსაზღრულია 2006 წლის 25 ივლისიდან.[47] რაც შეეხება ფიზიკურ პირს ამ შემთხვევაში ამ დანაშაულის ამსრულებელია პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი, თუმცა ამ დანაშაულს პრაქტიკის ანალიზის მიხედვით სჩადიან სრულწლოვანი პირები.

4.2. ტრეფიკინგის სუბიექტური შემადგენლობის ნიშნები

სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულებრივად მიჩნეული ქმედება- ადამიანით ვაჭრობა გარდა ზემოხსენებული ობიექტური პროცესებისა განიხილება მისი ჩამდენი პირის ნების შინაარსის მიხედვით. ,,ასეთ შემთხევაში გამოსარკვევია იმ წარმოდგენებისა და ემოციების შინაარსი, რომლებიც თან ერთვის ნების გარეგან გამოვლინებას, ანუ აქ იგულისხმება ის პროცესები, რომლებიც პირის ფსიქიკაში მიმდინარეობს.''[48]

ადამიანთა ტრეფიკინგი, ფსიქოლოგიური ქცევის ანუ მოტივისა (მაგალითად ანგარების მოტივის) და მიზნის განხორციელების ხერხია. ამ შემთხვევაში მიზანი დაკავშირებულია საშუალებასთან, რადგან ადამიანის მიერ განხორცილებული ესა თუ ის ქმედება შესაძლოა შეფასდეს სამი კომპონენტით: ,,მიზნით, ამ მიზნის შესატყვისი საშუალებით და მიღწეული შედეგით. ამდენად უპირველეს ყოვლისა მიზნის ხასიათი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქმედების ბუნებას. მაგალითად, ადამიანი შეიძლება იყიდონ მისი შემდგომი შრომითი თუ სექსუალური ექსპლოატაციის მიზნით და ეს დანაშაულია, მაგრამ შეიძლება გამოისყიდონ ტრეფიკინგისგან მისი დახსნის მიზნით და მაშინ ეს ქმედება როგორც უკიდურესი

[47] https://matsne.gov.ge/ka/document/view/24490?publication=0 - საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

[48] გურამ ნაჭყებია; ირაკლი დვალიძე რედ.2007 სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი გამომცემლობა ,,მერიდიანი '' გვ. 127

აუცილებლობა მართლზომიერია. ‘’ [49] იმ ქმედების სამართლებრივი შეფასებისათვის, რომელიც მოქცეულია ქართული კანონმდებლობით განსაზღვრული ტრეფიკინგის დეფინიციის ქვეშ აუცილებელია განისაზღვროს ამ დანაშაულის სუბიექტის ქმედების განზარხვა, მიზანი, მოტივი და ემოცია. ქმედების ტრეფიკინგად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია განისაზღვროს კონკრეტული პირი ამ ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნების განხორცილებისას მოქმედება თუ არა განზრახვით.

ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ობიექტური შემადგენლობის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული ქმედების განხორციელება შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით, ესე იგი მის ჩამდენს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურს ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებს ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას. როდესაც დამნაშავე ახდენს ტრეფიკინგის მსხვერპლის გადაბირებას, გადაყვანას, გადამალვას, დაქირავებას, ტრანსპორტირებას, გადაცემას, შეფარებას ანდა მიღებას ყველა ეს დანაშაულებრივი ქმედება რომელიც ზემოაღწერილი ხერხებით ხორციელდება დეტერმინირებულია კონკრეტული მიზნით ეს არის ადამიანის ექსპლუატაცია, თუმცა ეს მიზანი არ არის დამახასიათებელი ისეთი ქმედებების განხორციელების მომენტში როგორიცაა ადამიანის ყიდვა; გაყიდვა და მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება.

სისხლის სამართლის კოდექსის 143 პრიმა მუხლის შენიშვნის მიხედვით ექსპლუატაციად მიიჩნევა დამნაშავის მიერ მატერიალური ან სხვაგვარი სარგებლის მიღების მიზნით:

ა) შრომის ან მომსახურების გაწევის იძულება;

ბ) სექსუალური მომსახურების გაწევის იძულება;

გ) პირის დანაშაულებრივ საქმიანობაში, პროსტიტუციაში, პორნოგრაფიაში ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმა;

დ) ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის იძულებით ან მოტყუებით ამოღება, გადანერგვა ან სხვაგვარად გამოყენება;

[49] ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშე-ფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში თბ.2012 გვ. 260

ე) ადამიანის მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება. ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს მისთვის ისეთი მდგომარეობის შექმნას, როდესაც ის ანაზღაურებით, არაადეკვატური ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე, სხვა პირის სასარგებლოდ ასრულებს სამუშაოს ან ეწევა მომსახურებას და მას არ შეუძლია ამ გარემოების შეცვლა ამ პირზე დამოკიდებულების გამო. პირზე დამოკიდებულება შეიძლება გამოწვეული იყოს, მათ შორის:

ე. ა) პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ჩამორთმევით, კონტროლით ან განზრახ ხელყოფით;

ე. ბ) თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვით ან თავისუფალი გადაადგილების კონტროლით;

ე. გ) ოჯახის წევრთან ან სხვა პირთან კომუნიკაციის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტის, შეზღუდვით ან კონტროლით;

ე. დ) იძულებითი ან დამაშინებელი გარემოს შექმნით

როგორც ჩანს ექსპლუატაციის ცნების ქვეშ მოქცეულია პირის პროსტიტუციაში ჩაბმა, რაც უნდა განვასხვავოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 253-ე მუხლით ინკრიმინირებული ქმედებისგან. აღნიშნული მუხლით ინკრიმინირებულია პროსტიტუციაში ჩაბმა ძალადობით, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით, შანტაჟით ან მოტყუებით. აღნიშნული დანაშაულის განხორციელების ხერხები იდენტურია ადამიანის ვაჭრობის შემადგენლობის ობიექტური ნიშნებისა, თუმცა ტრეფიკინგის შემთხვევაში ადამიანის პროსტიტუციაში ჩაბმა არის ამ დანაშაულის სამომავლო მიზანი და არა შედეგი, ხოლო 253-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაციისათვის აუცილებელია დამნაშავემ მსხვერპლი ჩააბას პროსტიტუციაში ესე იგი ამ შემთხვაში პროსტიტუციაში პირის ჩაბმა არის ძალადობის, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარის, შანტაჟის ან მოტყუების შედეგი.

ადამიანით ვაჭრობის სუბიექტური შემადგენლობის ერთ-ერთი ელემენტია მისი ჩადენის მოტივი. ამ დანაშაულის განხორციელებისას ძირითადი მოტივი არის მატერიალური სარგებლის მიღება, იშვიათ შემთხვევაში მოტივი შესაძლებელია ასევე იყოს ვინმეს მიმართ შურისძიების გრძნობა, თუმცა ქმდების ტრეფიკინგად კვალიფიკაციისათვის მისი ჩადენის მოტივს მნიშვნელობა არ აქვს.

თავი V. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კვალიფიციური შემადგელობის ანალიზი

5.1. სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ადამიანით ვაჭრობის კვალიფიციური შემადგენლობა.

ადამიანით ვაჭრობის ტრეფიკინგის ძირითადი შემადგენლობის განხორციელება უფრო მკაცრად ისჯება პასუხისმგებლობის დამამძიემებლი სხვადასხვა გარემობების არსებობისას. სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადამიანით ვაჭრობის კვალიფიციურ შემადგენლობას ქმნის მისი ჩადენა: ა) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ; ბ) დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ; გ) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. [50] მოცემულ შემთხვევაში ტრეფიკინგის ძირითადი შემადგენლობისგან განსხვავებულია ხელყოფის ობიექტი და ამსრულებელის მდგომარეობა. თუ სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩამდენია ნებისმიერი 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი, ამ შემთხვევაში მას ახორციელებს სპეციალური სუბიექტი, როგორიც შეიძლება იყოს საჯარო მოხელი, კერძო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ანდა რიგითი თანამშრომელი, ოჯახის წევრი, ნათესავი, ანდა ისეთი პირი, რომელსაც მოტივირებული მქემოქმედება შეუძლია დაზარალებულზე. რაც შეეხება დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ ამ დანაშაულის განხორცილებას ეს ხდება მაშინ როცა დაზარალებულს არ აქვს უნარი გააცნობიეროს მიმდინარე მოვლენები და წინააღმდეგობა გაუწიოს დამნაშავეს. ასეთ მდგომარეობაში შეიძლება პირის იყო ალკოჰოლური ანდა არკოტიკული თრობის დროს, ასევე მძიმე ავადმყოფობისგან გამოწვეული უძლურებისას და ა.შ. მოცემულ შემთხვევაში უმწეო მდგომარეობაში არ იგულისხმება პირის უმწეობა მისი მცირეწლოვობის გამო, რადგან ასეთი შემთხვევები კვალიფიცირდება, როგორც არასრულწლოვნით ვაჭრობა, რაზედაც ქვემოთ შესაბამის თავში უფრო ვრცლად ვისაუბრებთ.

[50] სისხლის სამართლის კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=220 (შემოწმებულია 07.06.2020წ.)

ორსული ქალის მიმართ ჩადენილი ადამიანით ვაჭრობას ამძიმებს სწორედ დაზრალებულის ორსულობის ფაქტი, რადგან ამ ქმედებით საფრთხის წინაშეა როგორც დედა, ისე მის სხეულში მყოფი ემბრიონის ნორმალური განვითარება, თუმცა ამ კონკრეტული ქმედებისათვის პირის დამნაშავედ ცნობისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ორსულობის ფაქტი, აუცილებელია, რომ დამნაშავისათვის წინასწარ იყოს ცნობილი დაზარალებულის ორსულობა, მისთვის აღქმადი და ნათლად გასაგები უნდა იყოს რომ ვაჭრობს ანდა/ ექსპლუატაციის მიზნით ზემოთ განხილული ხერხებით ახორციელებს ასევე განხილულ ადამიანით ვაჭრობის ცნების ქვეშ მოქცეულ მართლსაწინააღდმეგო ქმედებებს.

სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ადამიანით ვაჭრობის კვალიფიციური შემადგენლობაა: ა) არაერთგზის; ბ) ორი ან მეტი პირის მიმართ; გ) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით; დ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით; ე) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. ამ ნაწილით პასუხისმგებლობის ამძიმებს ამ დანაშაულის განმეორებით ჩადენა, იმ პირის მიერ გასამართლდა ამ კონკრეტული ქმედების ჩადენისათვის და ეს ნასამართლობა არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული, ასევე პასუხისმგებლობას ამძიმებს ხელყოფის ობიექტთა სიმრავლე, როცა ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი ორი ან მეტი პირია, ამ დროს დამნაშავე უფრო მეტ სამართლებრივ სიკეთეს აზიანებს.

როგორც წესი კონკრეტული ქმედების ჩადენის ხერხები მოცემულია ქმედების ძირითად შემადგენლობაში, თუმცა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევაში მისი განხორციელების ერთ-ერთი ხერხი იძლევა ამ დანაშაულის კვალიფიციურ შემადგენლობას. ადამიანით ვაჭრობის ტრეფიკინგის მსხვერპლისადმი ისეთი ძალადობის გამოყენება ან/და გამოყენების მუქარა რაც საშიშია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უფრო მკაცრად ისჯება იმიტომ, რომ ამ დროს საფრთხე ექმნება არამარტო ადამიანის კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებებს და თავისუფლებას, არამედ მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების დროს მნიშვნელობა ენიჭება არამარტო ფიზიკური დაზიანების შედეგს არამედ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ფიზიკური ძალადობის მახასიათებლები როგორიცაა: ძალადობის ინტენსივობა, ხანგრძლივობა, საშუალება, ჩადენის იარაღი. ესე იგი მნიშვნელოვანია, რომ

ადამიანით ვაჭრობისას განხორციელებული ძალადობა განხორციელების მომენტში იყოს დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში.

ფსიქიკური ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის მიმართ განხორციელებული მუქარა მის მიერ უნდა აღიქმებოდეს როგორც რეალური და იმწუთიერად საშიში, დაზარალებულს შეგნებული უნდა ჰქონდეს მუქარის ხასიათი. ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარა შესაძლებელია განხორციელდეს სიტყვიერად, კონკლუდენტური მოქმედებით, ხელების მოძრაობით, რაიმე საგნის დემონსტრირებით. მუქარის განხორცილების მომენტში დამნაშავის მიზანია დათრგუნოს მსხვერპლის გამოხატვის თავისუფლება, მუქარის მეშვეობით ის მასზე ახდენს ზეწოლას, რათა შემდეგ უფრო გაუადვილდეს მის მიმართ უკანონო ქმედებების ჩადენა.

რაც შეეხება ამ თავში განსახილველ კიდევ ერთ დამამძიმებელ გარემოებას ეს არის დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანა. შემთხვევაში იცვლება დანაშაულის ჩადენის ადგილი და ამით უფრო მეტად რთულდება დანაშაულის გამოძიება და დამნაშავის დადგენა, რადგან ამ დროს ადამიანით ვაჭრობის შემადგენლობის მნიშვნელოვანი ელემენტები ხორციელდება საქართველოს ფარგლებს გარეთ, ისეთ ქვენებში სადაც არ ვრცელდება ჩვენი ქვეყნის იურისდიქცია და დანაშაულის გახსნას ჭირდება მეტი ძალისხმევა. სწორედ ამ ფაქტორებზე დაყრდნობით მკაცრდება პასუხისმგებლობა დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით განხორციელებული ტრეფიკინგისათვის. მიუხედავად იმისა, რომ რთულია ამ დამამძიმებელი გარემოების არსებობისას დანაშაულებრივი ქმედების გამოვლენა, კვლევის ფარგლებში მოვიძიე ამ კონკრეტული ქმედების ჩადენისათვის დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენი, რომლის ანალიზი დაგვეხმარება მითითებული კვალიფიციური გარემოების პრაქტიკული ასპექტების გამოვლენაში. აღნიშნული განაჩენი გამოტანილია ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ 2018 წლის 17 ოქტომბერს საქმე #1-221/18 [51]

აღნიშნული განაჩენის მიხედვით სასამართლომ დაადგინა: ,, უზბეკეთის რესპუბლიკის მოქალაქე გ---------- ს---------ა, ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) განზრახვის მიზნით, 2018 წლის იანვრის თვეში, საქართველოში ყოფნის დროს, ტელეფონით დაუკავშირდა უზბეკეთის რესპუბლიკაში მყოფ, უზბეკეთის რესპუბლიკის მოქალაქე მ------ ხ----------, რომელსაც ცრუ

[51] file:///C:/Users/John/Desktop/4590311.pdf-საქართველოს სასამართლოების საქმის წარმოების სისტემა

დაპირებით შეპირდა საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში სამუშაოზე დასაქმებას. კერძოდ, მოატყუა ის, რომ ქალაქ ბათუმში მას დაასაქმებდა რესტორანში მიმტანად და ექნებოდა მაღალი ანაზღაურება, რაზეც ეს უკანასკნელი დათანხმდა. გ---------- ს----------ამ, მ------ ხ---------- მიმართ უკანონო გარიგების განხორციელების მიზნით ამ უკანასკნელს განუცხადა, რომ სესხის სახით აეღო მგზავრობისათვის საჭირო თანხა, შეეძინა ბილეთი და გამომგზავრებულიყო საქართველოში. მ------ ხ----------ა, გ---------- ს----------ას მითითების შესაბამისად, 2018 წლის 04 თებერვალს ჩამოვიდა საქართველოში, კერძოდ ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, სადაც მას დახვდა გ---------- ს----------ა, რომელმაც ის საცხოვრებლად მოათავსა ქ. ბათუმში, აეროპორტის დასახლება, კახაბრის ქუჩა N4-ში მდებარე დროებით ნაქირავებ სახლში, რის შემდეგ მას ჩამოართვა უზბეკეთის მოქალაქის პასპორტი, ჩააყენა მონობის თანამედროვე პირობებში და მის მიმართ თავისუფალი გადაადგილების კონტროლით, დამაშინებელი გარემოს შექმნით, ფიზიკური ანგარიშსწორებით, ცემით, მუქარით და იძულებით მოახდინა მისი გადაბირება, განახორციელა მისი პროსტიტუციაში ჩაბმა და სექსუალური მომსახურების იძულებით გაწევა. სექსუალურ ექსპლუატაციის მიზნით, სისტემატურად გადაჰყავდა ქ. ბათუმში და ხელვაჩაურის რაიონში მდებარე სხვადასხვა ღამის კლუბებში, რესტორნებში და სასტუმროებში. შესაბამისად, გ---------- ს----------ა 2018 წლის 04 თებერვლიდან 11 მარტამდე პერიოდში ახორციელებდა მ------ ხ---------- სექსუალურ ექსპლუატაციას, ხოლო ექსპლუატაციის გზით გამომუშავებულ თანხებს ისაკუთრებდა.''

აღნიშნულ განაჩენში სასამართლო მიუთითა: ,,საზღვარგარეთ გაყვანა - გადაყვანა ნიშნავს პირის წაყვანას თავისი საცხოვრებელი ადგილიდან სხვა მიმართულებით, რათა მიყვანილ იქნეს იმ ადგილას, სადაც მოხდება მისი ჩაბმა ექსპლუატაციაში. გ---------- ს----------ამ მ------ ხ----------ა სექსუალური მომსახურების მიზნით ექსპლუატაციისთვის გაიყვანა საზღვარგარეთ, კერძოდ იმ ქვეყნიდან, სადაც იგი იმყოფებოდა საქართველოში სადაც უკვე განხორციელდა მისი ექსპლუატაცია. ტრეფიკინგის, როგორც საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობის დასადგენად სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1431 -ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილის "გ" ქვეპუნქტით, საქართველოს კანონით " ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ", ევროპის საბჭოს კონვენციით "ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" /რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 22 დეკემბრის N 4086–რს დადგენილებით/, "და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ " გაეროს კონვენციის ოქმით /რატიფიცირებულია

საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 7 ივნისის N 3202 – I ს დადგენილებით/ ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მე-2 მუხლის შესაბამისად წინამდებარე კონვენცია ვრცელდება ადამიანებით ვაჭრობის ყველა 12 ფორმაზე, იმისდა მიუხედავად ის მხოლოდ ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ხორციელდება თუ გააჩნია ტრანსნაციონალური ხასიათი, და არის თუ არა ის დაკავშირებული ორგანიზებულ დანაშაულთან. ამავე კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად a) „ადამიანებით ვაჭრობა" ნიშნავს ექსპლოატაციის მიზნით პირთა სამუშაოზე აყვანას, ტრანსპორტირებას, გადაცემას, თავშესაფრის მიცემა ან მიღებას, მუქარის ან ძალის ან იძულების სხვა ფორმების გამოყენებას, მოტაცების, თაღლითობის, მოტყუების, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, ან უმწეო მდგომარეობით სარგებლობის ან საზღაურის ან სარგებლის მიცემის ან მიღების გზით, რომლის მიზანია იმ პირის თანხმობის მიღება, რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა პირზე. ექსპლუატაცია, ყველაზე შეზღუდული განმარტებით, მოიცავს სხვა პირთა ექსპლუატაციას პროსტიტუციის მიზნით ან სექსუალური ექსპლოატაციის სხვა ფორმებს, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონურ ან სხვა მსგავს მდგომარეობაში ჩაყენებას, b) „ადამიანებით ვაჭრობის" მსხვერპლის თანხმობა გამოყენებულ იქნას ამ მუხლის (a) ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიზნებისათვის არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ ეს თანხმობა მიღებულ იქნა (a) ქვეპუნქტში მითითებული რამდენიმე საშუალებით; ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ოქმის მე-3 მუხლის შესაბამისად ამ ოქმის მიზნებისათვის: „ტრეფიკინგი" ნიშნავს ადამიანთა გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, ამ ადამიანთა ექსპლუატაციის მიზნით. ექსპლუატაცია, როგორც მინიმუმ, გულისხმობს სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაციას ან სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას, მონურ შრომას ან ორგანოთა გადანერგვას; საქართველოს კანონით " ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ", პირველი მუხლის შესაბამისად ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, 13 ამავე კანონის მე-3 ნაწილის 'ა" ქვეპუნქტის შესაბამისად ამ კანონის მიზნებისათვის ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა: ადამიანით ვაჭრობა

(ტრეფიკინგი) – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1431 და 1432 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები. ამავე მუხლის ”დ” ქვეპუნქტის თანახმად ექსპლუატაცია არის– პროსტიტუციაში ჩაბმა, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება, სექსუალური ექსპლუატაცია ან სხვა სახის მომსახურების გაწევის იძულება. ამავე კანონის თანახმად სექსუალური ექსპლუატაციაა – პირის ჩაბმა პროსტიტუციაში მის მიმართ მუქარის, ძალადობის, იძულების, შანტაჟის გამოყენებით ან სამუშაოს ხასიათისა და პირობების შესახებ ყალბი ინფორმაციის მიწოდებით; ამავე კანონის თანახმად მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს – პირისათვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ან/და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას; საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ”ი” ქვეპუნქტის თანახმად სასაზღვრო გამტარი პუნქტია - საერთაშორისო მიმოსვლისათვის ნებადართული გზატკეცილის ან გზის მონაკვეთი, რკინიგზის სადგურის, პორტის, ნავსადგურის, აეროპორტის (აეროდრომის) ტერიტორიის ნაწილი, სადაც ხორციელდება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სასაზღვრო და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა სახის კონტროლი; სავალო კაბალა მონობის მსგავსი მდგომარეობის სახეა და გულისხმობს პირის სტატუსს ან მდგომარეობას, რომელიც აღმოცენდება მოვალის მიერ ვალის უზრუნველყოფის საშუალებად საკუთარი ან მის დამოკიდებულებაში მყოფი პირის მომსახურების გამოყენებით, თუკი ამ მომსახურების ღირებულება, გონივრული შეფასებით, შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს აღნიშნული ვალის აღმოსაფხვრელად ან ასეთი მომსახურების ხანგრძლივობა ან ბუნება არ არის სათანადოდ განსაზღვრული და შეზღუდული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებათა ერთობლიობა, წარმოადგენს ერთმანეთთან შეთანხმებულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა იმ ერთობლიობას, რომლის საფუძველზე სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია, რომ გ-----– ---- ს--------ამ ჩაიდინა ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით. ‘’

5.2. სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ადამიანით ვაჭრობის კვალიფიციური შემადგენლობა.

ადამიანით ვაჭრობისათვის ყველა მძიმედ პასუხისმგებლობა დგება მაშინ თუ ის ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ და როცა ის გამოიწვევს დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობას ან სხვა მძიმე შედეგს. თითოეულ დამამძიმებელ გარემოებას განვიხილავთ ცალ-ცალკე.

თავდაპირველად ორგანიზებული ჯგუფის ცნება უნდა გავმიჯნოთ ჩვეულებრივი ჯგუფური დანაშაულისაგან. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27 -ე მუხლის თანახმად:

,,1. დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი.

2. დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.

3. დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება.

4. ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის შექმნისათვის ან ხელმძღვანელობისათვის დაეკისრება იმას, ვინც შექმნა ასეთი ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას. მასვე დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, თუ მათ მოიცავდა მისი განზრახვა. ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილე პასუხს აგებს ჯგუფის მონაწილეობისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე იმ დანაშაულისათვის, რომლის მომზადებაშიც ან ჩადენაშიც იგი მონაწილეობდა.

შენიშვნა: ამ მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისათვის, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა."[52] ამ ჩანაწერის თანახმად ორგანიზებული ჯგუფი არ იქმნება შემთხვევით და დაუგეგმავად, თუმცა აუცილებელი არ არის ჯგუფის წევრებს შორის როლები ფორმალურად იყოს გადანაწილებული, ამ ჯგუფის წევრობა იყოს უწყვეტი და სტრუქტურირებული, შესაძლებელია ორგანიზებული ჯგუფი შეიქმნას ერთი დანაშაულის ჩასადებად, თუმცა მის ჩადენას ჭირდებოდეს გარკვეული პერიოდი. ამასთან მართალია კანონმდებელი სავალდებულოდ არ აწესებს ორგანიზებული ჯგუფის შიგნით როლების განაწილებას, თუმცა პრაქტიკულად როცა ადამიანებით ვაჭრობა ხდება ორგანიზებული ჯგუფის მიერ, მის წევრებს შორის მაინც არის ფუნქციები გადანაწილებული. აღნიშნულის თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგენთ **საქართველოს უზენაესი სასამართლო განჩინება საქმის ნომერი 2კ-396ან.-19:**[53]

,,2. სასამართლომ დაადგინა, რომ ხ. ჯ-ამ ჩაიდინა ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ე.ი. მოტყუებით ადამიანის გადაბირება, შეფარება და მიღება ექსპლუატაციის მიზნით, აგრეთვე –ადამიანის სექსუალური ექსპლუატაცია ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობით, იძულებით, დაშინებითა და მუქარით, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ სამი პირის მიმართ, **რაც გამოიხატა შემდეგში:**

· ხ. ჯ-ამ 2016 წლის ივნისში, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, იქირავა გ-ის რაიონის სოფელ მ-ის საავტომობილო გზაზე მდებარე ბარის ტიპის ფართი. მან თავის მეგობარ თ. ნ- თან ერთად, ორგანიზებულად შეიმუშავა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გეგმა სარგებლის მისაღებად, კერძოდ: აღნიშნულმა პირებმა გაინაწილეს გეგმის განსახორციელებლად საჭირო როლები და ექსპლუატაციის მიზნით, მოტყუებით, კარგი სამუშაო პირობების დაპირებით, 2016 წლის ივნისსა (შ. შ.) და ნოემბერში (ჩ. ს. და მ. ს.) გადაიბირეს, შეიფარეს და მიიღეს ჩ. ს., მ. ს. და შ. შ., რომლებზეც 2017 წლის 18 მაისამდე ფსიქოლოგიურად ძალადობდნენ და ემუქრებოდნენ, ამყოფებდნენ გაუსაძლის, მონობასთან

[52] https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=220 სისხლის სამართლის კოდექსი მუხლი 27 (გადამოწმებულია 06.06.2020წ.)
[53] საქართველოს უზენაესი სასასამართლო- გადაწყვეტილებების საძიებო პროგრამა http://prg.supremecourt.ge/ (შემოწმებულია 26.04.2020წ)

გათანაბრებულ პირობებში, უწევდნენ სექსუალურ ექსპლუატაციას და მთლიანად ისაკუთრებდნენ კლიენტების მიერ მათთვის გადახდილ თანხებს.

· ხ. ჯ. დაზარალებულებს – შ. შ-ს, ჩ. და მ. ს-ებს, მათი ნების საწინააღმდეგოდ, მუდმივად აკისრებდა სხვადასხვა სახის არარეალურ ვალებს, ხოლო შემდგომ, თითქოსდა ვალების დაფარვის მიზნით, აიძულებდა მონობასთან გათანაბრებულ პირობებში ყოფნას და მის სასარგებლოდ კლიენტებისათვის სექსუალური მომსახურების გაწევას, შედეგად კი მიღებულ თანხებს ისაკუთრებდა.

· ხ. ჯ. მუდმივად აკონტროლებდა ბარის ტერიტორიას, დაზარალებულთა მხრიდან კლიენტების მომსახურების ხარისხს და ამასთან, უზღუდავდა მათ თავისუფალ გადაადგილებას.

· თავის მხრივ, თ. ნ. უზრუნველყოფდა ტრანსპორტით დაზარალებულთა გადაყვანას, უწევდა მათ მუდმივ მეთვალყურეობასა და კონტროლს, რათა თავისუფლად არ გადაადგილებულიყვნენ და ე.წ. „კლიენტებთან“ მიყვანილ დაზარალებულებს სექსუალური მომსახურების გაწევისთანავე ბარში, ხ. ჯ-სთან აბრუნებდა. ამასთან, ავალდებულებდა მათ, ესარგებლათ მისი ტაქსის მომსახურებით და დაზარალებულებისგან ამ სახით შემოსავალსაც იღებდა, რაც აბსოლუტურად შეთანხმებული, დაგეგმილი და კოორდინირებული იყო დანაშაულებრივ ქმედებებში მონაწილე ხ. ჯ-სთან.''

უკანასკნელი დამამძიმებელი გარემოება, რაც გათვალისიწინებულია ადამიანით ვაჭრობის ტრეფიკინგის პასუხისმგებლობისათვის ეს არის ამ ქმედების ჩადენის შედეგად დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობის ან სხვა მძიმე შედეგის გამოწვევა. აღნიშნული კვალიფიციური შემადგენლობა ამ დანაშაულის ძირითადი შემდგენლობისგან განსხვავდება დანაშაულის ამსრულებლის სუბიექტური დამოკიდებულებით დამდგარი შედეგისადმი. აქ მიშვნელოვანია გავიხსენოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის რომლის თანახმად :

,,1. თუ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას იმ თანამდევი შედეგის დადგომის გამო, რომელსაც არ მოიცავდა დამნაშავის განზრახვა, მაშინ ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა ეს შედეგი გაუფრთხილებლობით განახორციელა. ასეთი დანაშაული განზრახ დანაშაულად ჩაითვლება.

2. განზრახი დანაშაულის სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშანი პირს ბრალად შეერაცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ნიშანს მოიცავდა მისი განზრახვა."[54] ამ ჩანაწერისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1]-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული სანქციის სიმსუბუქის გათვალიწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მასში მითითებული შედეგებისადმი დამნაშავე მოქმედებს გაუფრთხილებლად და არა განზრახ. მას ტრეფიკინგის განხორციელებისას არ სურს მსხვერპლის სიკვდილი, თუმცა შესაძლოა იგი მოქმედებდეს წინდაუხედავად, გაცნობიერებული ჰქონდეს ეს ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა ან/და იგი მოქმედებდეს წინდაუხედავად, არ ჰქონდეს თავისი წინდაუხედაობა გაცნობიერებული, შესაბამისად არ ითვალისწინებდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც. რაც შეეხება დაუდევრობით ან თვით იმედოვნებით სხა მძიმე შედეგის გამოწვევას ესეთი შესაძლოა იყოს დიდი ქონებრივი ზარალი, ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, ადამიანის ოჯახისგან მოშორება.

[54] სისხლის სამართლის კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=220 (შემოწმებულია 07.06.2020წ.)

თავი VI. ტრეფიკინგის წინააღდმეგ ბრძოლის პრევენციული ღონისძიებები

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) განიხილება, როგორც მონობის თანამედროვე, სახეშეცვლილი ფორმა. ყოველ წელიწადს მსოფლიოში საშუალოდ ორიდან ოთხ მილიონამდე ადამიანი ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი, მათგან 70% ქალები და ბავშვები არიან. ხშირ შემთხვევაში, ისინი საზოგადოების ყველაზე დაუცველ ფენას წარმოადგენენ.

სახელმწიფომ ეფექტიანი ღონისძიებების გატარება რომ შეძლოს ტრეფიკინგის პრევენციის მიზნების უკეთ მისაღწევად, ის უნდა მოქმედებდეს გარკვეული სტრატეგიის ჩარჩოებში, ამისათვის კი საუკეთესო გამოსავალია ზემოთ განხილული ორივე კონვენციით დადგენილი სტანდარტების გათვალისწინება, რომლის მიხედვითაც შემდეგ ელემენტებს უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება:[55]

- პოტენციურ მსხვერპლთა დაუცველობის შემცირება სოციალური და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის გზით;
- მოთხოვნის მოხსნა ტრეფიკირებულ პირთა მომსახურებაზე;
- გენდერული ფაქტორის უპირობო გათვალისწინება;
- საზოგადოების განათლება/ინფორმირე ბულობის ამაღლება;
- საზღვრის კონტროლი;
- საჯარო მოხელეთა შორის კორუფციის თავიდან აცილება.

წინამდებარე ნაშრომში განვიხილეთ მხოლოდ ორი მათგანი, ესენია: სოციალურ-ეკონომიკური ფონის გაუმჯობესება და საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება, რადგან უმთავრესი როლი ტრეფიკინგის თავიდან აცილების მიზნის მიღწევაში სწორედ ამ ორ ელემენტს ენიჭება.

---

[55]სასწავლო მასალა მოსამართლეთა და პროკურორთათვის ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ, ICMPD, 2006, გვ.92

არავისთვის არ არის სიახლე ის ფაქტი, რომ ტრეფიკინგი დამახასიათებელია ეკონომიკური კრიზისის კერებისათვის. სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, პოსტსაბჭოური სივრცის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, ჩრდილოეთ აფრიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების მოქალაქეები ბედის საძიებლად უფრო მდიდარ სახელმწიფოებში მიემგზავრებიან.[56] მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ევროპული თანამეგობრობის შექმნის შესახებ ხელშეკრულების 63-ე მუხლის თანახმად, ევროკავშირის საბჭოს დაევალა, ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში მიიღოს იმიგრაციის პოლიტიკასთან დაკავშირებული ზომები, რომლებიც შეეხება: შემოსვლისა და ბინადრობის პირობებს, პროცედურულ სტანდარტებს წევრი ქვეყნების მიერ გრძელვადიანი ვიზებისა და ბინადრობის ნებართვების გაცემასთან დაკავშირებით, მათ შორის, ოჯახების გაერთიანების მიზნით და არალეგალურ იმიგრაციასა და არალეგალურ ბინადრობას, არალეგალური რეზიდენტების რეპატრიაციის ჩათვლით.[57] 2001 წელს ევროპის კომისიამ მიიღო წინადადება ერთ-ერთი დირექტივის შესახებ, რომელიც „ანაზღაურებადი დასაქმებისა და თვითდასაქმების ეკონომიკური საქმიანობის მიზნით მესამე ქვეყნების მოქალაქეთა შემოსვლისა და ბინადრობის პირობებს ადგენს“.[58]

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგადი მიდგომის შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოხდეს საიმიგრაციო კანონმდებლობის ლიბერალიზაცია, რათა თავიდან იქნეს აცილებული ტრეფიკინგის პოტენციურ მსხვერპლთა ჩართვა ამ დანაშაულებრივ ქსელში. თუმცა, შესაძლოა კანონმდებლობის ლიბერალიზაციამ ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადაგვიყვანოს, კერძოდ: მხედველობაშია მისაღები ტრეფიკინგის მსხვერპლთა უმთავრესი მიმწოდებელი სახელმწიფოებისა და მოსახლეობის რაოდენობა. დასაწყისისათვის აღებულია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა, სადაც 20 სახელმწიფოა თავმოყრილი საკმაოდ დიდი რაოდენობის მოსახლეობით. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ამ სახელმწიფოებიდან ისედაც გადადიან სხვა სახელმწიფოებში სამუშაოს საძებნელად მოქალაქეები და ხდებიან ტრეფიკინგის მსხვერპლნი, მაშინ საიმიგრაციო კანონმდებლობის უფრო მეტად ლიბერალიზაციამ შესაძლოა საერთოდ შეუქცევადი პროცესები გამოიწვიოს და კიდევ უფრო მეტი ადამიანი აღმოჩნდეს დაინტერესებული სხვა ქვეყანაში სამუშაოს საძებრად წასვლით. მაგალითისათვის ავიღოთ საბერძნეთი, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოების

[56] მერკვილაძე ი., გენდერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, კავკას. სახლი, თბ., 2003, გვ. 112
[57] სასწავლო მასალა მოსამართლეთა და პროკურორთათვის ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ, ICMPD, 2006, გვ. 93.
[58] იქვე

მოსახლეობისათვის საკმაოდ მკაცრი წესები მოქმედებს და სამუშაო და ბინადრობის მოწმობის გარეშე საბერძნეთში მუშაობა უკანონოდ ითვლება, რაც, თავის მხრივ, ზრდის ტრეფიკინგში პირთა ჩათრევის შესაძლებლობას, მაინც საქართველოს მთლიანი სამიგრაციო მოსახლეობის რიცხვი გაორმაგდა 1998-2007 წლებში, ვიდრე იყო აქამდე. გასათვალისწინებელია, რომ თუ მოსახლეობის ამხელა ნაწილი არ უშინდება იმ საფრთხეებს, რაც უკავშირდება საზღვარგარეთ გამგზავრებას და მუშაობას, მაშინ, მიმოსვლის გამარტივების შემთხვევაში, ნაკადი კიდევ უფრო მოცულობითი გახდება, შედეგი კი, მართლაც, სამწუხარო იქნება, რადგან დანიშნულების ქვეყანაში აღარ დარჩება თავისუფალი სამუშაო ადგილები მიგრანტებისთვის, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ტრეფიკინგის ქსელის ახალი გზით განვითარებას, კერძოდ, ტრეფიკიორები ეცდებიან ხალხის დარწმუნებას, რომ მათ ჰყავთ ნაცნობები, რომლებიც ინახავენ ადგილებს დასაქმების მსურველთათვის და შესაბამისი საზღაურის გადახდის შემდეგ ისინი ლეგალურ სამსახურებში დაიწყებენ მუშაობას. ყოველივე ეს კი არ აღმოფხვრის ტრეფიკინგს, არამედ განვითარების ახალ ფაზაში გადაიყვანს მას, სწორედ ამიტომ არის უპრიანი უფრო მეტი ძალისხმევის მიმართვა ტრეფიკინგის მსხვერპლთა ძირითად მომწოდებელ სახელმწიფოთა შიგნით მეტი სამუშაო ადგილების შექმნაზე და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

რაც შეეხება საზოგადოების ინფორმირებასთან დაკავშირებულ პოლიტიკას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად 2006 წლის ივნისში შეიქმნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, რომლის მიზანია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელება.

წარმოგიდგენთ 2010 წლიდან 2019 წლის ჩათვლით პერიოდში აღნიშნული ფონდის მუშაობასთან დაკავშირებულ რამდენიმე სტატისტიკურ მონაცემს.

მითითებული მონაცემების საფუძველზე გავაანალიზებთ, თუ როგორია ფონდის მომსახურებით დაინტერესებული პირთა ტენდეცია,[59] ასევე გავიგებთ რამდენმა პირმა ისარგებლა თავშესაფრის მომსახურებით და უშუალოდ 2019 წელს მსხვერპლთა კლასიფიკაციის მიხედვით თითოეულმა რა სახის მომსახურეობა მიიღო. [60]

[59] http://atipfund.gov.ge/res/docs/trefikingis-cxeli-xazis-statistika-2019.pdf (შემოწმებულია 02.05.2020წ)
[60] http://atipfund.gov.ge/res/docs/trefikingis-statistika-2019.pdf(შემოწმებულია 02.05.2020წ)



ტრეფიკინგის მსხვერპლთა/დაზარალებულთა მიერ 2010-2019 წლებში თავშესაფრით სარგებლობის შესახებ ინფორმაცია

წელი	საცხოვრისი (24 საათიანი ზრუნვა)		
	ზრდასრული მსხვერპლი/დაზარალებული	არასრულწლოვანი მსხვერპლი/დაზარალებული	დამოკიდებული პირი
2019	0	4	0
2018	3	0	0
2017	7	0	0
2016	4	0	0
2015	6	0	2
2014	5	0	2

2013	4	1	1
2012	7	0	6
2011	6	0	2
2010	8	0	2

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა მიერ თავშესაფრით და იქ არსებული მომსახურებებით მოსარგებლეთა სტატისტიკური ინფორმაცია 2019 წელი

მომსახურებები	მსხვერპლი/დაზარალებული				მსხვერპლზე/დაზარალებულზე დამოკიდებული პირი	საერთო ჯამი
	სრულწლოვანი		არასრულწლოვანი			
	მდედრ.	მამრ.	გოგო	ბიჭი		
დროებითი სადღეღამისო საცხოვრისი	0	0	3	1	0	4
ფსიქოლოგიურ-სოციალურ დახმარება/რეაბილიტაცია	0	0	3	1	0	4
სამართლებრივი კონსულტაცია/დახმარება	0	0	0	0	0	0
სამედიცინო მომსახურების ორგანიზება/მიღება	0	0	0	0	0	0
კომპენსაცია	0	0	0	0	0	0
თავშესაფრის მომსახურებ(ებ)ით მოსარგებლეთა საერთო	0	0	3	1	0	4

რაოდენობა [1]						

თავი VII. კვლევის შედეგები

ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად საქართველოს ფარგლებს გარეთ, ქვეყანაში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

ტრეფიკინგი განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის საქართველოს, რაც გამოწვეულია ქვეყნის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობით და ჯერ კიდევ რთული ეკონომიკური ვითარებით, რის გამოც საქართველო ტრეფიკინგის მსხვერპლთა წარმოშობის და ასევე ტრანზიტის სახელმწიფოდ მიიჩნევა. ვითარებას განსაკუთრებით ამწვავებს ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი - მილიონ ადამიანზე მეტი, სამუშაოს საძებნელად წასულია საზღვარგარეთ, სადაც მათი უმეტესობა არალეგალურად იმყოფება, დაკავებულია უკანონო და დაბალანაზღაურებადი საქმიანობით და ამდენად ნებისმიერი მათგანი წარმოადგენს ტრეფიკინგის პოტენციურ მსხვერპლს[61]. აღნიშნული მდგომარეობა სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს სწრაფ და გააზრებულ რეაგირებას, რათა შემუშავებულ იქნას აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლის, მსხვერპლის გამოვლენის, დაცვისა და რეაბილიტაციის სწორი სახელმწიფო პოლიტიკა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანით ვაჭრობა, როგორც კვლევის ობიექტი ახალი მოვლენაა, შესაბამისად, საქართველოს, ისევე როგორც სხვა ქვეყნების კანონმდებლობებში ტრეფიკინგმა თავის ადგილი მხოლოდ XXI საუკუნეში დაიმკვიდრა, რაც გვაძლევს საფუძველს, ეჭვი შევიტანოთ კანონმდებლობის სრულყოფილებაში და წარმოვაჩინოთ ტრეფიკინგთან ბრძოლის პოლიტიკისა და შესაბამისად კანონმდებლობის დახვეწის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, რისთვისაც საჭიროდ მიგვაჩნია აღნიშნული ფენომენის მიზეზების და პირობების შესწავლა და ტრეფიკინგის თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების დადგენა, რაც, თავის მხრივ, კრიმინოლოგიის შესწავლის საგანია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1]-ე მუხლით გათვალისწინებული ტრეფიკინგის საკანონმდებლო დეფინიცია მოიცავს ადამიანის ყიდვას ან გაყიდვას ან მის

[61] Migration in Georgia: a country profile 2008. IOM.გვ.16

მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტყუებით, შანტაჟით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირებას, გადაყვანას, გადამალვას, დაქირავებას, ტრანსპორტირებას, გადაცემას შეფარებას ანდა მიღებას ექსპლუატაციის მიზნით[62]. აღნიშნული დანაშაული ხელყოფს ადამიანის პირად თავისუფლებას და მთელ რიგ ისეთ უფლებებს, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად იცავს მრავალი საერთაშორისო პაქტი და კონვენცია[63]. მნიშვნელოვან როლს თამაშობს ის გარემოებაც, რომ ტრეფიკინგი სისხლხორცეულად არის დაკავშირებული ისეთ მძიმე დანაშაულებთან, რომლებიც ხელყოფენ ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივს, ღირსებას, სქესობრივ თავისუფლებასა და სქესობრივი ხელშეუხებლობას, შრომითი საქმიანობის თავისუფლად არჩევის, შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად ანაზღაურების მიღების უფლებას და მრავალ სხვა უფლებას. ტრეფიკინგი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს წარმოადგენს და დამამძიმებელი გარემოებების არსებობის შემთხვევაში სასჯელად უვადო თავისუფლების აღკვეთაც კი არის გათვალისწინებული.

საქართველოში აქტიურად ხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობას, ამ დანაშაულის ეფექტურ გამოძიებას, სისხლის სამართლებრივ დევნას, მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის ეფექტური დახმარების აღმოჩენას, მათ საფუძვლიან რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში რეინტეგრაციას.

---

[62] ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა (ტრეფიკინგი)http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00 (გადამოწმებული, 20.01.2019)

[63]საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი. 1995წ; საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, თბ. 2009წ. მდგომარეობით; ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948წ. ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, 1950წ.; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ; კონვენცია იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ; კონვენცია ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ, 1979წ.; კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ და მისი დამატებითი ოქმი, პალერმო, 2000წ.;

დასკვნა

XX საუკუნის ბოლოს მსოფლიოს კრიმინალურ ბიზნესს (იარაღით და ნარკოტიკით ვაჭრობის გვერდით) დაემატა ადამიანით ვაჭრობა- ტრეფიკინგი. აღნიშნული დანაშაული ხელყოფს ადამიანის არაერთ ფუნდამენტურ უფლებას და თავისუფლებას, რის გამოც იგი სცილდება რომელიმე ერთი ქვეყნის ფარგლებს და ტრანსნაციონალურ ხასიათს იძენს. თანამედროვე პირობებში ტრეფიკინგის შინაარსმა გარკვეული სახის ევოლუციური ცვლილებები განიცადა, რაც ძირითადად განაპირობა მსხვერპლის დაუფლების განსხვავებული ფორმების ჩამოყალიბებამ. დღევანდელი მდგომარეობით ექსპლუატატორი ადამიანის ყიდვისთვის თითქმის არაფერს არ იხდის და მის მიმართ იურიდიული პასუხისმგებლობის დაკისრების საფრთხეც მინიმუმამდეა დაყვანილი, მისთვის მსხვერპლის დამორჩილების უპირველეს სახეს წარმოადგენს მოტყუება, ძალადობა, მუქარა, გადაბირება ან/და იძულება, წარსულში კი მონები ბაზარზე იყიდებოდა. ისინი აღიქმებოდნენ, როგორც ძვირადღირებული მატერიალურ ობიექტები. მათი ფასი მათივე ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების, ასევე შემდგომში მათი მოვლისა და გაფრთხილებისთვის გაწეული ხარჯების გათვალისწინებით განიზაღვრებოდა.

ადამიანებით ვაჭრობას დიდი ისტორია და ღრმა ფესვები აქვს. იგი არის დღევანდელი მსოფლიოს აქტუალური პრობლემა, განსაკუთრებით იმ განვითარებადი ქვეყნებისა, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აქვთ ძლიერი ეკონომიკა და რომლებიც წარმოადგენენ ტრეფიკინგის წყაროს და სატრანზიტო ქვეყნებს. ეს დანაშაული უკვე რამდენიმე წელია საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთებას იწვევს, რასაც სამი ძირითადი ფაქტორით არის განპირობებული.

პირველი ფაქტორი არის ამ დანაშაულის სიმძიმე. ტრეფიკინგი უხეშად არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებას, ლახავს მის ღირსებას, საფრთხეს უქმნის, როგორც ადამიანის ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ჯანმრთელობის, ისე სიცოცხლეს. ტრეფიკინგის დანაშაულისთვის დამახასიათებელი ნიშნები უმრავლეს შემთხვევაში არის ფსიქიკური და ფიზიკური ძალადობა ან ძალადობის მუქარა.

მეორე ფაქტორი არის ამ დანაშაულის გავრცელების შემაშფოთებელი მასშტაბები. ტრეფიკინგი მსოფლიოს ყველა კონტინენტზე და თითქმის ყველა ქვეყანაშია გავრცელებული.

განვითარებადი ქვეყნები ძირითადად წარმოადგენენ წარმოშობის სახელწიფოებს, (ანუ ისეთ სახელმწიფოებს, რომლის მოქალაქე ან რომელში მუდმივად მცხოვრები პირი არის ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი), საიდანაც ადამიანებით მოვაჭრეებს მსხვერპლნი ტრეფიკინგის სახელმწიფოების გავლით (სატრანზიტო სახელმწიფო, რომლის ტერიტორიის გავლითაც ხორციელდება ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ან პირდაპირ გადაყავთ დანიშნულების სახელმწიფოებში (სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზედაც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლს უწევენ ექსპლუატაციას;) ხშირად ერთი ქვეყანა შეიძლება იყოს როგორც წარმოშობის ,ისე ტრანზიტის და დანიშნულების სახელმწიფოც-მაგალითად ჩინეთი.

მესამე ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ ტრეფიკინგი იარაღისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ერთად, ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან წყაროს წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფებისთვის. ტრეფიკინგის მიზანია ექსპლოატაცია, რაც მას განასხვავებს სხვა ტიპის დანაშაულებებისაგან. ადამიანთა მასიური სექსუალური, თუ სხვა სახის შრომითი ექსპლუატაცია ორგანიზებული დანაშაულის ზრდასა და განვითარებას უწყობს ხელს.

სახელმწიფოებმა აქტიურად უნდა იბრძოლონ ტრეფიკინგის ყველა ფორმის აღსაკვეთად და ამისათვის ის სამი მიმართულება უნდა გამოიყენონ, რომელიც დამნაშავის დასჯას, დანაშაულის აღკვეთასა და მსხვერპლის დაცვას გულისხმობს, ტრეფიკინგის მსხვერპლი უმარტივესი განმატებით არის ადამიანი, რომელიც გადაჰყავთ ერთი ქვეყნიდან მეორეში ან ქვეყნის შიგნით მონობის ან დამონების მიზნით. ეს დანაშაული მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მოიცავს ბევრ კანონდარღვევას, მათ შორისაა ადამიანის უფლებების შეზღუდვა, გაუპატიურება, წამება. ტრეფიკინგი არღვევს ადამიანების თავისუფლების უსაფრთხოებას, რადგან პირი ამ დროს იმყოფება არაადამიანური მონობის პროცესში.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე უპირველეს ყოვლისა ადამიანები ინფორმირებულები უნდა იყვნენ იმის შესახებ, თუ რა არის ტრეფიკინგი და როგორ უნდა დაიცვან მისგან თავი. გარდა ამისა, აუცილებელია სხვადასხვა სიტუაციებში უსაფრთხო ქცევის უნარ-ჩვევების ათვისება. ამიტომ ტრეფიკინგის პრევენციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს საინფორმაციო-საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარებას. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ყველამ გააცნობიეროს ტრეფიკინგის მსხვერპლად ქცევის საფრთხე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი. 1995წ;
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბილისი, 2019 წ. მდგომარეობით:
3. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, თბ. 2019. მდგომარეობით;
4. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948წ.
5. ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, 1950წ.;
6. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ; კონვენცია იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ;
7. კონვენცია ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ, 1979წ.
8. კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ და მისი დამატებითი ოქმი, პალერმო, 2000
9. ბაძაღუა მ. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კრიმინოლოგიური დახასიათება (საქართველოს მაგალითზე (დისრტაცია) თბ.2010
10. ბაძაღუა მ. ადამიანით ვაჭრობა - ადამიანით ვაჭრობა - ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგი ტრეფიკინგი (საქართველოს მაგალითზე) თბ. 2011
11. გაერთიანებული ერების კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ და მისი დამატებითი ოქმები ადამიანთა ტრეფიკინგისა და მიგრანტთა უკანონო გადაყვანის შესახებ / ინგლ. თარგმნა გიორგი კუკულავამ ; ტექსტი გამოსაც. მოამზადა გიორგი ღლონტმა. - თბ., 2004.
12. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, სისხლის სამართლის საქმის პრაქტიკის კომენტარი, 2008წ.
13. ლობჟანიძე, გ. ტრეფიკინგის სამართლებრივი ასპექტები : [ტრანსნაციონა-ლური დანაშაული] თბ., 2006 "მანდარიას სტამბა"
14. ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში თბ.2012
15. მერკვილაძე ი., გენდერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, კავკას. სახლი, თბ., 2003

16. სასწავლო მასალა მოსამართლეთა და პროკურორთათვის ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ, ICMPD, 2006
17. საქართველოში ქალთა ტრეფიკინგის კვლევა = Women trafficing research in Georgia. II ეტაპი: არასამთავრობო ორგანიზაცია "ქალები მომავლისათვის". - თბ., [2002]
18. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, 2008
19. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თავი XXII-XXIV), თბილისი, 2008
20. ტრანსნაციონალური დანაშაული და კორუფცია საქართველოში: [კრებული] / თბ., 2005
21. ტრეფიკინგის პრევენციის გაძლიერება საქართველოში: სახელმძღვ. მასალები ტრენერებისთვის: [პროექტი/ ადამიანის ჰარმ. განვით. ხელშემწყობი საზ-ბა და კათოლიკური დახმარების სამსახური საქართველოში ; რედ.: მაია გოგოლაძე, წოვინარ ნაზაროვა]. - [თბ.], 2005.
22. ფარსადანიშვილი ნ., ტრეფიკინგის პრევენცია – სახელმწიფოთა პრაქტიკა და საქართველო, /საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, N2, 2010
23. ჯულუხაძე დ., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ტრეფი¬კინგი-სათვის, თბილისი, 2006
24. ჯულუხაძე დ. პასუხისმგებლობა ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობისათვის // კულტურათაშორისი კომუნიკაციები თბ. 2009. - N8
25. საერთაშორისო ხელშეკრულებები https://nsc.gov.ge/geo/static/565
26. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2016წ.
27. ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999
28. ტრეფიკინგი, საინფორმაციო ბიულეტენი №3, თბილისი, 2000
29. ლობჟანიძე გ., ტრეფიკინგის სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2006
30. ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა (ტრეფიკინგი) http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00 (გადამოწმებული, 20.01.2019)
31. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)//შინაგან საქმეთა სამინისტორ http://police.ge/ge/projects/adamianit-vachroba (გადამოწმებულია. 22.12.2018)
32. გაეროს სპეციალური ვებ-გვერდი ადამიანის ტრეფიკინგის შესახებ. http://www.unodc.org/unodc/en/human-trafficking/faqs.html#How_widespread_is_human_trafficking (24.12.2018).

33. თ. კეცხოველი, თ. კვერნაძე, „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07–3/365; 20.02.2012) http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/aparati-9/kvlevebibiblioteka/sainformacio-furceli-kanonproeqtebistvis1/sainformacio-furclebi-kanonproeqtebisatvis-arqivi.page (გადამოწმებულია 22.01.2019)
34. კამბოჯა http://www.humantrafficking.org/government_law/15
35. ფილიპინები http://www.chanrobles.com/republicactno9208.html
36. აშშ ((TVPA)2000 Trafficking Victims Protection Act) აშშ–ს სახელმწიფო დეპარტამენტის „აქტი ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ http://www.state.gov/j/tip/rls/rm/2010/141446.htm
37. სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის, „ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ”, www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?
38. Protocol to prevent, suppress and punish traffi cking in persons, especially women and children, supplementing the united nations convention against transnational organized crime
39. Human Traffi cking – A Modern Form of Slavery, A Fact Sheet by the Swiss Coordination Unit against the Traffi cking in Persons and Smuggling of Migrants (KSMM) November 2007, გვ. 3, ხელმისაწვდომია: http://www.childtraffi cking. Com.
40. Migration in Georgia: a country profile 2008. IOM
41. Morehouse Christal. 2009. Combating human trafficking: policy gaps and hidden political agendas in the USA and Germany. VSresearch
42. Protocol to Prevent, Suppress and Punish Trafficking in Persons, Especially Women and Children, supplementing the United Nations Convention against Transnational Organized Crime.